

ვენდი ბრაუნ

ამერიკული კომმარ: ნეოლიბერალიზმი, ნეოკონსერვატიზმი და დედემოკრატიზაცია

მთარგმნელი: თამარ ცხადაძე

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ნეოლიბერალიზმი და ნეოკონსერვატიზმი ორი განსხვავებული პოლიტიკური რაციონალობაა თანამედროვე აშშ-ში. ფორმალური მახასიათებლის თვალსაზრისით, მათ მცირედი აქვთ საერთო და ბევრი სხვა კუთხით, ურთიერთსაწინააღმდეგონივ კი ჩანან. მაგრამ ისინი არა მხოლოდ ამჟამინდელ საპრეზიდენტო ადმინისტრაციაში ერწყმიან ერთმანეთს, არამედ დედემოკრატიზაციის გამომწვევ ზემოქმედებაშიც. მათ მიერ პოლიტიკური თავისუფლების, თანასწორობის, შინაარსიანი მოქალაქეობის და სამართლის უზენაესობის ღირებულების დაკნინება, ერთი მხრივ, ბაზრის კრიტერიუმების შესაბამისად მართვისა და, მეორე მხრივ, ვითომდა მორალური მიზნებისათვის სახელმწიფო ძალაუფლების დაფასების სასარგებლოდ, ძირს უთხრის კონსტიტუციური დემოკრატიის როგორც კულტურას, ისე ინსტიტუტებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ორი რაციონალობა სიმბიოზურად მუშაობს იმაზე, რომ შექმნას სუბიექტი, რომელიც შედარებით გულგრილია მთავრობის სანდოობის და ანგარიშვალდებულების, მოქალაქეების პოლიტიკური თავისუფლებისა და მათ შორის თანასწორობის მიმართ.

ცოტა ხნის წინ სტიუარტ ჰოლმა თქვა, რომ ახლანდელი განმსაზღვრელ სხვადასხვა ძალას და რაციონალობას ზმანების ლოგიკით უკეთესად გავიგებთ, ვიდრე ფილოსოფიური გამომდინარეობის ლოგიკით.¹ ამ სიტყვების არსი, უეჭველად იმაში მდგომარეობს, რომ თავი ავარიდოთ მონოლოგიკურ, შინაგანად თანმიმდევრულ, დროში სწორხაზოვან და სისტემურ ჩარჩოში ძალით მოქცევას იმისა, რასაც ამ თვისებათაგან არცერთი არ აქვს.² მაგრამ ჰოლის პროვოკაციული შემოთავაზების მიხედვით მოქმედება ძნელია; თანაც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზმანების ლოგიკა რთულია. რა თქმა უნდა, არსებობს ეს სირთულე: ფროიდის მიხედვით, სიზმრები არა უბრალოდ შუამავალია ცხოვრების გამოცდილებათა ორომტრიალსა და წინასწარარსებულ არაცნობიერ ფორმაციებს შორის, არამედ ორგანიციზმის სახელით ისეთნაირად გამოიყენება - სწორედ ესაა მათი საქმე - რომ ასეთ მედიაციას სცილდება და არაცნობიერის ელემენტების რეალურ რეკონსტრუქციას გვაძლევს. მაგრამ სიზმრის მეტაფორა, მიღებული პოლიტიკური ანალიზისთვის, ასევე გვპირდება, რომ ჩვენი უმანკოებისა და სათნოების შესახებ ქედმაღლურ წარმოდგენას შეარყევს: სიზმრები ხშირად გვეუბნება ისეთ რამეს, რის ცოდნასაც საკუთარი თავის შესახებ არ ვისურვებდით, კერძოდ, იმ იდენტიფიკაციებისა და სურვილების გამხელით, რომელთაც ცნობიერად არ ვაღიარებთ. ამრიგად, პოლიტიკური ანალიზის მოდელად სიზმრის მიღება შერყევით ემუქრება მემარცხენეობის პოლიტიკური მორალიზების იმპულსს, რომელსაც სურს, რომ ყველაფერი, რისთვისაც მემარჯვენეობა დგას, ნაკარნახევი იყოს სიმდაბლით, სულმოკლეობით, სიხარბით, ხოლო ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იყოს სულგრძელი და კეთილი - იმპულსი, რომელიც ჩვენ და მათ მონოლითურ და ურთიერთსაპირისპირო მორალურ-პოლიტიკურ სამყაროებად წარმოგვადგენს.

¹ Stuart Hall, remarks on the occasion of the launch of the Center for Citizenship, Identity and Governance (CIGS) at the Open University, Milton Keynes, UK, March 2005.

² უილიამ კონოლიმ განსხვავებული მეტაფორა - „რეზონანსის მანქანა“ - შემოგვთავაზა იმ განსხვავებული რაციონალობების ურთიერთგადაფარვის ჩასაჭერად, რომლებიც ერთად თანამედროვე პოლიტიკურ ლანდშაფტს შეადგენენ და განსაკუთრებით მის ისე ჩასაჭერად, რომ არ მივმართოთ მიზეზშედეგობრიობას, უხეშ მატერიალიზმს, მანიპულაციის თეორიებს ან მეტათეორიას. იხილეთ William Connolly, “The Evangelical- Capitalist Resonance Machine”, *Political Theory* 33, no. 6 (December 2005): 869-86.

ამრიგად, ჰოლის გამოწვევას, უარი ვთქვათ მონოლოგიკურ, მატოტალიზებელ და სწორხაზოვან გაგებებზე, წინ ეღობება არა მხოლოდ ინტელექტუალური ნაბახუსევი (ეპისტემედან, რომელშიც ძალაუფლება წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი, სისტემური და მიზანმიმართული), არამედ, ასევე, სიძნელე მემარცხენე სურვილში. ეს არის სიძნელე, რომელსაც შეგვიძლია გავუმკლავდეთ მხოლოდ იმისთვის მზაობით, რომ, ერთი მხრივ, გავიაზროთ პოლიტიკური წესრიგებისა და რაციონალობების არათანმიმდევრული, მრავალი წყაროდან ნასაზრდოები და არასისტემური ბუნება და, მეორე მხრივ, ვალიაოთ იდენტიფიკაცია და სიახლოვე ზოგიერთ ისეთ რამესთანაც, რასაც ვაძაგებთ. თუ, მაგალითად, ბევრი მემარცხენე იზიარებს მემარჯვენულ ამბიციას, კულტურული და პოლიტიკური ჰეგემონია მოიპოვოს და მორალური წესრიგი დაადგინოს, ასეთი ანტიდემოკრატიული იმპულსები ზედმიწევნით კრიტიკას საჭიროებს, თუნდაც, მეტიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველა მხარე დემოკრატიის სამოსელში იკაზმება.

ამ ნარკვევის პრობლემატიკა კარგად შეეფერება ზმანების ანალიტიკას. ესაა პრობლემა, ერთად გავიაზროთ ამერიკული ნეოკონსერვატიზმი - გავეშებული მორალურ-პოლიტიკური რაციონალობა - და ნეოლიბერალიზმი - საბაზრო-პოლიტიკური რაციონალობა, რომელიც თავის კონკრეტულ ამერიკულ ინსტანციაციას სცილდება და არ არის რომელიმე პოლიტიკურ მრწამსთან ექსკლუზიურად შეჭიდული. ნარკვევის მიზანი არ არის ამერიკული მემარჯვენეობის გაგება მის მთლიანობაში, ვითომდა არსებობდეს მის უკან მდგომი ასეთი ერთიანი წამოწყება ან არსება. მიზანი იმის ჩაჭერაა, თუ როგორ თანხვდება, წინასწარი განზრახვის გარეშე, ეს ორი, თვითონაც არაერთგვაროვანი რაციონალობა გადამწყვეტ მომენტებში ერთმანეთს ისე, რომ გააღრმავოს ლიბერალური დემოკრატიის კანიზალიზმი, რომელიც სხვა წყაროებიდან უკვე ნახევარი საუკუნეა მიმდინარეობს.³ მიზანი არც ლიბერალურ დემოკრატიაზე, როგორც ასეთზე, გულის აჩუყებაა, არამედ მიზანია მისი, როგორც პოლიტიკური ფორმის, დაცემის იმპლიკაციების გაგება, და, მეტიც, შეკითხვის დასმა, ინარჩუნებს თუ არა მნიშვნელობას დემოკრატია, როგორც ტერმინი ან მისწრაფება. თუ, როგორც სხვაგან ვწერდი, ლიბერალური დემოკრატიის შემადგენელი ინსტიტუტები და პოლიტიკური კულტურა ისტორიას ჩაბარდება, მემარცხენეობის წინაშე ორი ამოცანა აღმოჩნდება: გამოიტიროს ის, რაც ბოლომდე არასოდეს ჰყვარებია, და დრამატულად გადააწყოს საკუთარი კრიტიკა და ხედვა ისე, რომ არა მხოლოდ ჩავარდნილ სოციალისტურ ექსპერიმენტებს, არამედ, ლიბერალური დემოკრატიის ისტორიულ გადალახვასაც მოერგოს.⁴

ეს ნარკვევი გამოტირებისა და რევიზიის ამ პროექტებს არ ეჭიდება. ის მხოლოდ მათ აუცილებლობას აჩვენებს იმით, რომ იკვლევს დედემოკრატიზაციის ძალებს, რომლებიც აშშ-ში ნეოლიბერალური და ნეოკონსერვატორული რაციონალობების ურთიერთშეხვედრის შედეგად წარმოიქმნება. რა არის ამ ორი რაციონალობის ურთიერთშეხვედრის შემთხვევითი

³ წიგნში, „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია“ (David Harvey, *Brief History of Neoliberalism*, Oxford: Oxford University Press, 2005) დევიდ ჰარვი ასევე იკვლევს პოლიტიკურ და ანალიტიკურ ურთიერთობას ნეოლიბერალიზმსა და ნეოკონსერვატიზმს შორის. მაგრამ ის მიიჩნევს, რომ ისინი ძირითადად ერთი და იმავე წყაროდანაა (კორპორაციული კლასისგან) წარმოშობილი და ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს, სახელდობრ, მაღალი კალსის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების რესტავრაციას და კონსოლიდაციას იმ შესუსტებისა და კრიზისისგან, რომელიც მან მეოცე საუკუნის მესამე მეოთხედში განიცდა. და თუმცა ეს ორი „იზმი“ განსხვავდება ისეთ საკითხებში, როგორცაა ინდივიდუალიზმი და ზნეობა, ის ნეოკონსერვატიზმის ღია სახელმწიფო ავტორიტარიზმს და მილიტარიზმს აიგივებს ნეოლიბერალიზმის სახელმწიფოსთან და თავისუფლებასთან მისი წინააღმდეგობრივი ურთიერთობისგან გადარჩენის პერსპექტივასთან (იხ. გვ. 78-86). ჰარვის ახსნა საკმაოდ სასარგებლოა ნეოლიბერალიზმზე იმ გავრცელებული შეხედულების გასაბათილებლად, რომ ის ანტისტეიტისტურია, და, ასევე, ნეოლიბერალიზმის თავისუფლების იმ იმპერიულ დისკურსთან დასაკავშირებლად, რომელიც აშშ-ის ცივი ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკით ვრცელდებოდა (იხ. თავები 3 და 7). ის ნაკლებად სასარგებლოა ნეოლიბერალურ და ნეოკონსერვატორულ რაციონალობებს შორის განსხვავებების, გავრცელების მათი განსხვავებული წყაროებისა და მათ შორის დაძაბულობის გასაგებად.

⁴ Wendy Brown, „Neoliberalism and the End of Liberal Democracy”, *Theory and Event* 7, no. 1 (Fall 2003): http://muse.jhu.edu/journals/theory_&_event/.

სიმბიოზური შედეგები - შედეგები, რომლებიც არა მხოლოდ მიიტაცებს დემოკრატიის მნიშვნელობას, რათა გაამართლოს პერმანენტული და უკიდურესი კლასობრივი დაყოფები, მენეჯირებული და ნაყიდი პოლიტიკური ცხოვრება, კორპორაციულ და მმართველ ელიტებს შორის კავშირებში კონცენტრირებული ძალაუფლება და იმპერიული სტეიტში, არამედ, დემოკრატიის საფუძვლებსაც ანადგურებს ადამიანების საჭიროებების, სურვილების, ძალაუფლებასა და უძალობაზე ორიენტაციის კულტივაციაში? და ამ რაციონალობების წინააღმდეგ მემარცხენე პროტესტის რომელი ელემენტები შეიძლება იმეორებდეს ამ შედეგებს? ამრიგად, ეს ნარკვევი ეხება არა იმდენად დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშესახებ შეკვეცას, როგორც არის, მაგალითად, აშშ-ის „პატრიოტული აქტი“, სასამართლო ძალაუფლების შეკვეცა, რეგრესული საგადასახადო სქემები, ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი პრაქტიკა, ანტიიმიგრანტული პოლიტიკური ქმედებები, ან კორუმპირებული საარჩევნო პრაქტიკები, არამედ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის გამოშიგვნას და არადემოკრატიული მოქალაქის წარმოებას. ეს არის მოქალაქე, რომელსაც არ უყვარს და არ უნდა არც თავისუფლება და არც თანასწორობა, თუნდაც ლიბერალური სახისა; მოქალაქე, რომელიც არ მოელის არც ჭეშმარიტებას და არც ანგარიშვალდებულებას მთავრობისგან ან სახელმწიფოს ქმედებებისგან; მოქალაქე, რომელსაც არ ანერვიულებს პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ზღვარგადასული კონცენტრაციები, სამართლის უზენაესობის რუტინული უგულებელყოფა, ან ეროვნული მიზნების გამოკვეთილად არადემოკრატიული ფორმულირებები შინ თუ საზღვრებს გარეთ. ეს არის გამოშიგვნა, რომელიც ჩვენ წინაშეა, როგორც მყარი პოლიტიკური მოცემულობა, იმის მიუხედავად, თუ რამდენად დაბლა დაეცემა ბუმის ვარსკვლავი ან რომელი პარტია გაიმარჯვებს 2006 წლის შუალედურ არჩევნებში.

ნეოლიბერალიზმის და ნეოკონსერვატიზმის ერთად გააზრება

დავიწყოთ რამდენიმე ფორმალური საწუხარით ნეოლიბერალიზმსა და სპეციფიკურად ამერიკულ ნეოკონსერვატიზმს შორის მიმართებასთან დაკავშირებით: ამათგან პირველის კონტურებს გლობალიზებული კაპიტალი მოხაზავს, მაგრამ ის კონკრეტულ შეფერილობას იძენს ყოველ კონკრეტულ კონტექსტში, რომელშიც დაიბუდებს; ხოლო მეორე, თუმცა მასაც ჰყავს ბიძაშვილები გვიან მოდერნულობაზე ფუნდამენტალისტური და რელიგიურად შეფერილი სხვა რეაქციების სახით, მაინც შინაზარდია და შინაგანად მრავალფეროვანია ამერიკულ კონტექსტშიც კი. როგორ იკვეთება რაციონალობა, რომელიც გამოხატულად ამორალურია როგორც მიზნების, ისე საშუალებების დონეზე (ნეოლიბერალიზმი), რაციონალობასთან, რომელიც გამოხატულად მორალისტური და რეგულატორულია (ნეოკონსერვატიზმი)?⁵ როგორ იკვეთება პროექტი, რომელიც სამყაროს საზრისისგან ცლის, სიცოცხლეს აუფასურებს და ნიადაგიდან ამოგლეჯს და სურვილს შეუფარავად უწევს ექსპლუატაციას, პროექტთან, რომელიც საზრისების გამყარებასა და იძულებით თავსმოხვევაზე, ცხოვრების გარკვეული წესების უცვლელად შენარჩუნებაზე, სურვილის დათრგუნვასა და რეგულირებაზეა კონცენტრირებული? როგორ ეჯვარება ან ეჯახება თვითდაინტერესების მყარ და ნორმატიულ სოციალურ ქსოვილზე მოდელირებული მმართველობის მხარდაჭერა ისეთი მმართველობის მხარდაჭერას, რომელიც მოდელირებულია ეკლესიის ავტორიტეტზე, თავშეწირვისა და მუდმივი ოჯახური ერთგულების ნორმატიულ სოციალურ ქსოვილზე - სწორედ იმ ქსოვილზე, რომელსაც მოუთოკავი კაპიტალიზმი ანაკუწებს? და რა როლს შეიძლება

⁵ მთლად ზუსტი არ არის ნეოლიბერალიზმისთვის ამორალურის წოდება. ფაქტია, რომ ის გამოიყენება მართვის ისეთი მიზნებისათვის, როგორცაა კანონმორჩილი ქვევა ან ოჯახის ტრადიციული ფორმის დაცვა; ასევე ფაქტია მის მიერ სუბიექტის მეწარმედ წარმოდგენა და თავად მეწარმეობის ნორმატიული გავრცელება. მაგრამ ნეოლიბერალიზმი თავს შორს იჭერს კონვენციური მორალური დისკურსისგან და მთლიანად ინსტრუმენტულ რაციონალობას მოითხოვს: ის საბაზრო სტრატეგიებს ამკვიდრებს ცხოვრების ყველა სფეროში და ფორმალურად გულგრილია იმ მიზნების მიმართ, რომლებისთვისაც ეს სტრატეგიები გამოიყენება.

ასრულებდნენ, ერთი მხრივ, ევანგელისტური ქრისტიანობა და, მეორე მხრივ, ამერიკული სახელმწიფოს ჰიპერდემონიზებული მტრები ამ ქორწინების ხელშეწყობაში? ისევ, აქ ვერ დავიწყებთ ცალსახა ან კოჰერენტული ლოგიკის ძიებას, არამედ უნდა შევეცადოთ, გავიგოთ რაციონალობის ამ ორი განსხვავებული ნაკადის ეფექტები პოლიტიკური მოაზრებადობისა და შესაძლებლობის თანამედროვე ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში. ეს გულისხმობს სოციალური და ფსიქოლოგიური მოწყვლადობის, ექსპლუატირებადობის, ან ორიენტაციის იმ ადგილების ამოცნობას, რომლებითაც ისინი ერთმანეთთან ვაჭრობს ან ერთმანეთს ასაზრდოებს. ძალაუფლებაში, ლეგიტიმაციაში ან ავტორიტეტში ერთ-ერთი რაციონალობით გამოწვეული რომელი ეფექტები აღმოჩნდება დასაფესვიანებელი ნიადაგი მეორისთვის? ზმანების მეტაფორა როგორც გვკარნახობს, ჩვენი მიზანია იმის აღმოჩენა, რაც იდეების დონეზე შეიძლება ლოგიკურ წინააღმდეგობად წარმოგვიდგებოდეს, მაგრამ პოლიტიკური სუბიექტურობის დონეზე შეიძლება გავიგოთ, როგორც ნაწილობრივ და არასისტემურად სიმბიოზური; და ამით ისეთ ანალიზებზე უარის თქმა, რომლებიც ღირებულებებზე ლაპარაკს მატერიალური ინტერესებისგან განასხვავებს ან „ყალბი ცნობიერების“ ცნებებს დააბრუნებს.

ამ ნარკვევში ჯერ მოხაზულია ნეოლიბერალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის შერჩეული ელემენტები, შემდეგ განხილულია მათი შეჯახებები და თანხვედრები, დასკვნაში კი მოცემულია მოკლე რეფლექსია იმაზე, თუ როგორ ადუღაბებს ფუნდამენტალისტური ქრისტიანობა, როგორც საჯარო ცხოვრების აღმოცენებადი იდიომა, ამ ორ რაციონალობაში არსებულ დედემოკრატიზაციის ძალებს.

ნეოლიბერალიზმი

სხვაგან ვამტკიცებდი, რომ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური და კულტურული შედეგების გასააზრებლად, ის უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც მეტი, ვიდრე თავისუფალი ბაზრის იმ ეკონომიკური პოლიტიკების ერთობლიობა, რომლებიც ჩრდილოეთში კეთილდღეობის სახელმწიფოებს შლის და საჯარო სერვისების პრივატიზებას იწვევს, სამხრეთში დემოკრატიული სუვერენობის ან ეკონომიკური თვითგამორკვევის მცდელობებს ანადგურებს, და ყველგან ზრდის სიმდიდრეში უთანასწორობებს. რასაკვირველია, ნეოლიბერალიზმი მოიცავს ამ ეფექტებს, მაგრამ როგორც პოლიტიკური რაციონალობა, ის ასევე მოიცავს სოციალურის, სუბიექტის და სახელმწიფოს სპეციფიკურ ორგანიზებას, რომელსაც სერიოზული შედეგები აქვს.⁶ პოლიტიკური რაციონალობა არ არის ეკვივალენტური იდეოლოგიისა, რომელიც ეკონომიკური რეალობისგან აღმოცენდება ან მას ნიღბავს; ის არც უბრალოდ ეკონომიკურის პოლიტიკურზე ან სოციალურზე „გადმოღვრის“ ეფექტია. არამედ, როგორც ფუკომ მოირგო ეს ტერმინი, პოლიტიკური რაციონალობა არის ნორმატიული პოლიტიკური გონების სპეციფიკური ფორმა, რომელიც აწესრიგებს პოლიტიკურ სფეროს, მმართველობის პრაქტიკებს და მოქალაქეობას.⁷ პოლიტიკური რაციონალობა მართავს ამ სფეროების გამოთქმადობის, მოაზრებადობის და ჭეშმარიტების კრიტერიუმებს. მაგალითად, მართალია, ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობა ბაზრის გარკვეულ კონცეფციას ეფუძნება, მაგრამ მმართველობისა და სოციალურის მისი ორგანიზაცია არ არის უბრალოდ ეკონომიკურიდან სხვა სფეროებში გაჟონვის შედეგი, არამედ შედეგია ამ სფეროებზე ბაზრის რაციონალობის კონკრეტული ფორმის ექსპლიციტურად თავსმოხვევისა. ხაზი უნდა გაესვას ნეოლიბერალიზმს, როგორც პოლიტიკური აზროვნების ფორმას, რომელშიც არტიკულირებულია პოლიტიკურის, სოციალურის და სუბიექტის ბუნება და მნიშვნელობა, რადგან სწორედ ამ ფორმისა და არტიკულირების მეშვეობით ხდება მის მიერ სხვა, უფრო დემოკრატიული რაციონალობების უზურპირება.

⁶ Brown, “Neoliberalism and the End of Liberal Democracy”.

⁷ Michel Foucault, “Politics and Reason”, in *Michel Foucault: Politics, Philosophy, Culture: Interviews and Other Writings, 1977-84*, ed. L. Kritzman (New York: Routledge, 1988).

რა არის ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობის გამორჩეული ნიშნები?⁸ პირველი, კლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმისგან განსხვავებით (და მნიშვნელოვანია თანამედროვე ამერიკელ მკითხველებს შევახსენოთ, რომ ნეოლიბერალიზმის „ლიბერალიზმი“ ეხება ეკონომიკურ და არა პოლიტიკურ ლიბერალიზმს), ნეოლიბერალიზმი არ არის შემოსაზღვრული აშკარად ეკონომიკური სფეროთი და არც ბაზარს წარმოადგენს, როგორც ბუნებრივს და თვითმარეგულირებელს, თუნდაც ეკონომიკურ სფეროში. ნაწილი იმისა, რაც ნეოლიბერალიზმს „ნეო“-დ აქცევს, არის ის, რომ ის თავისუფალ ბაზარს, თავისუფალ ვაჭრობას და სამეწარმეო რაციონალობას წარმოადგენს, როგორც *მისაღწევს და ნორმატიულს*, როგორც რაღაც ისეთს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კანონმა და სოციალურმა და ეკონომიკურმა პოლიტიკამ - და არა როგორც უბრალოდ ბუნებრივად მომხდარ რამეს. მეორე, ნეოლიბერალიზმი პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებს წარმოადგენს, როგორც რაღაც ისეთს, რაშიც უნდა დომინირებდეს ბაზრის ინტერესები და რაც თვითონ ბაზრის რაციონალობითაა ორგანიზებული. ანუ, სახელმწიფო განა უბრალოდ ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკას, არამედ თვითონ მან უნდა გაიგოს და ააგოს თავისი თავი ბაზრის ტერმინებში, განავითაროს პოლიტიკები და წახალისოს პოლიტიკური კულტურა, რომელშიც მოქალაქეები დანახულია, როგორც მხოლოდ რაციონალური ეკონომიკური აქტორები ცხოვრების ყველა სფეროში. აქ უთუოდ გვეცნობა სოციალური დაცვის, განათლების, საპატიმროების, პოლიციის, სამხედრო ძალის პრივატიზებისა და კონტრაქტორებზე გადაცემის სქემები, მაგრამ ნეოლიბერალიზმის ეს ასპექტი ასევე მოიცავს პოლიტიკური ქმედებების მთელ რიგს, რომლებიც მოქალაქეებს წარმოადგენს და აწარმოებს, როგორც ინდივიდუალურ მეწარმეებსა და მომხმარებლებს, რომელთა მორალური ავტონომია იზომება მათი უნარით, „მიხედონ საკუთარ თავს“ - მათი უნარით, დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები და ემსახურონ საკუთარ ამბიციებს, როგორც სოციალური დაცვის მიმღებნი, სამედიცინო პაციენტები, ფარმაცევტული ბიზნესის მომხმარებლები, უნივერსიტეტის სტუდენტები ან ეფემერულ პროფესიებში დასაქმებულები. მესამე, ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობა მმართველობის კრიტერიუმებსაც იმავე შტრიხებში აყალიბებს - ანუ პროდუქციულობისა და მომგებიანობის კრიტერიუმებად. ამის შედეგია, რომ მმართველობის ჟარგონი სულ უფრო მეტად იქცევა ბაზრის ჟარგონად, ბიზნესმენები ცვლიან იურისტებს, როგორც მმართველ კლასს ლიბერალურ დემოკრატიებში, ხოლო ბიზნესის ნორმები იურიდიული პრინციპების ადგილს იკავებს. ამ ტრანსფორმაციის მილიონ მაგალითს ვნახავთ, მაგრამ ალბათ საუკეთესოა ბუშის შენიშვნა 2004 წელს მისი ხელმეორედ არჩევის შემდეგ: „მე ამ კამპანიაში პოლიტიკური კაპიტალი დავაგროვე და ახლა მის დახარჯვას ვაპირებ“.⁹ დახარჯვით კი დახარჯა, რა თქმა უნდა, სულ ბოლო ნამცვეცებამდე, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია უზარმაზარი განსხვავება საჯარო მანდატის აღსრულებასა და ინდივიდუალური პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას შორის. მმართველობაში ბაზრის რაციონალობაზე გადასვლა ასევე აშკარად ჩანს ახლანდელი ადმინისტრაციის აგდებულად ლაპარაკში „ლეგალიზმებზე“, როგორც რაღაც აბეზარ კოდებზე, საგარეო თუ სამინაო პოლიტიკის აღსრულებას რომ აბრკოლებენ. ეს მინიშნება ხშირად ისმის, დაწყებული ომის შესახებ ჟენევის კონვენციებზე რეაქციებით და დამთავრებული დებატებით იმაზე, თუ როგორ დავიცვათ ქორწინება ჰომოსექსუალების შემოჭრისაგან („იურისტები მუშაობენ საუკეთესო მიდგომაზე“, თქვა ბუშმა ერთ მომენტში). ის აშკარად ჩანს ბუშის რუტინულ ლაპარაკშიც თავის სამსახურზე, როგორც „ძნელი გადაწყვეტილებების მიღებაზე“, ნაცვლად ხალხის ნების აღსრულებისა - დემოკრატიაში აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობის შთამბეჭდავად შმიტიანური შეცვლა. და ის გამოჩნდა 2003 წელს ერაყის ომის დაწყების

⁸ ეს მიმოხილვა არის ნეოლიბერალური რაციონალობისა და დემოკრატიის უფრო ვრცელი ახსნის შეჯამება, რომელიც მოცემულია სტატიაში Brown, “Neoliberalism and the End of Liberal Democracy”.

⁹ ბუშის ზუსტი სიტყვები შემდეგი იყო: „ნება მომეცით, ასე ჩამოვაცალიხო: მე ამ კამპანიაში კაპიტალი გამოვიმუშავე, პოლიტიკური კაპიტალი, და ახლა ვაპირებ ის დავხარჯო. ასეთია ჩემი სტილი“. იხილეთ G. W. Bush, White House press conference, November 4, 2004, <http://www.whitehouse.gov/news/releases/2004/11/20041104-5.html>.

წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბის პროტესტების მიმსგავსებაში პროდუქციის შესაფასებელ ფოკუსჯგუფებთან ბუშის მიერ.¹⁰ ეს ყველაფერი წარმოადგენს მართვის მიმართ ბიზნესის მიდგომას, რომელშიც დემოკრატიული პრინციპები და კანონის უზენაესობა არც სახელმძღვანელოა და არც სერიოზული შეზღუდვა, არამედ იარაღი ან დაბრკოლება - ფენომენი, რომელსაც ფუკომ ზუსტად უწოდა სამართლის „ტაქტიკალიზაცია“.¹¹

სახელმწიფოს, პოლიტიკური კულტურის და სოციალური სფეროს ბაზრის რაციონალობით ასე გაჟღენთა მმართველობის ინტერესებსა და პოლიტიკურ კულტურას ფაქტობრივად დაცლის პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებისგან. შეხედეთ: მეწარმე მე-ს დაკმაყოფილების გზაზე არსებული კლასობრივი და სხვა დაბრკოლებები რადიკალურად დეპოლიტიზდება, ხოლო რასაც ნეოლიბერალები „უთანასწორობის თანასწორ უფლებას“ უწოდებენ, ისევ ლეგიტიმაციას იღებს და ჩანაცვლებს ეგალიტარიზმის ფორმალურ აღიარებას დემოკრატიაში.¹² იწარმოება და ასეთი საზოგადოების გარდაუვალ საფასურად ცხადდება მუდმივი ანდერკლასი, მეტიც, კრიმინალების კლასი, უცხოელებისა და არამოქალაქეების კლასთან ერთად, რითაც ძირითეობა უნივერსალიზმის ფორმალურ აღიარებას. სამოქალაქო და სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც მოქალაქეთა პოლიტიკურ ავტონომიას (როგორც განსხვავებულს პირადი ავტონომიისგან) უნდა უზრუნველყოფდეს, როგორებიცაა აშშ კონსტიტუციის პირველ შესწორებაში ჩამოთვლილი პრინციპები, არაფერი ესაქმებათ ნეოლიბერალურ სქემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობისთვის საერთოდ არ არის შინაგანი პოლიტიკური თავისუფლების აღიარება.¹³ მოქალაქეობა, რომელიც დაყვანილია საკუთარ თავზე ზრუნვაზე, დაცლილია საერთოზე ყოველგვარი ორიენტაციისგან, რითაც ძირითეობა უკვე ისედაც დასუსტებულ ინვესტიციას აქტიურ მოქალაქეობაში და საჯარო სიკეთის უკვე ისედაც გათხელებულ ცნებას ღირებულებათა ლიბერალურ-დემოკრატიული ცხრილიდან. და რადგან კანონი ტაქტიკალიზებული და ინსტრუმენტალიზებულია, ის რადიკალურად დესაკრალიზებულია, რაც ქმნის პირობებს მისი რუტინული შეჩერებისა და გაუქმებისათვის, რაც გზას უკაფავს იმას, რასაც აგამბენმა, შმიტზე დაყრდნობით, უწოდა სუვერენობა პერმანენტულ „გამონაკლისის მდგომარეობაში“.¹⁴ ეს აშკარად ჩანს არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როგორც იყო აშშ უზენაესი სასამართლოს ღიად პოლიტიკური გადაწყვეტილება, შეეჩერებინა ფლორიდის ხმების გადათვლა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში - გადაწყვეტილება, რომელიც მოსახლეობამ ნიშანდობლივად უპროტესტოდ მიიღო, ან სამოქალაქო თავისუფლებების შეჩერება უსაფრთხოების სახელით, არამედ, სამოქალაქო უფლებების სამართლის სტრატეგიულ გამოყენებაში ეგალიტარული პროექტების დასაშლელადაც, დაწყებული აფირმატული ქმედებით და დამთავრებული პროგრესული დაბეგვრით.¹⁵ ამასობაში, სუსტდება თავისუფალი პრესა, როგორც დემოკრატიის საყრდენი, ერთი მხრიდან კორპორაციული მფლობელობით და მეორე მხრიდან კანონებით, რომლებიც

¹⁰ „პროტესტის ზომა - ეს გადაწყვეტილებას ჰგავს, კეთილი, მე ვაპირებ პოლიტიკაზე გადაწყვეტილება ფოკუს ჯგუფის საფუძველზე მივიღო“, თქვა ბუშმა. იხილეთ “Antiwar Protests Fail to Sway Bush on Plans for Iraq” *New York Times*, February 19, 2003, p. 1.

¹¹ Michel Foucault, “Governmentality”, in *The Foucault Effect*, ed. Graham Burchell, Colin Gordon, and Peter Miller (Chicago: University of Chicago Press, 1991), 95.

¹² იხილეთ Jürgen Habermas, “Learning from Catastrophe?” in *Postnational Constellations*, trans. and ed. Max Pensky (Cambridge, Mass.: MIT Press, 2001), 51-52.

¹³ „რა თქმა უნდა, დემოკრატიული პროცესი იცავს თანაბარ კერძო თავისუფლებებს, მაგრამ ნეოლიბერალიზმისთვის ის არ ამატებს პოლიტიკურ ავტონომიას, როგორც თავისუფლების კიდევ ერთ განზომილებას“. Habermas, *Postnational Constellations*, 94.

¹⁴ Giorgio Agamben, *State of Exception*, trans. Kevin Attell (Chicago: University of Chicago Press, 2005).

¹⁵ თუმცა ნეოკონსერვატორები განაგრძობენ ლაპარაკს „მკაცრ კონსტრუქციონიზმზე“ კონსტიტუციურ მართლმასჯულებაში, თვითონ კონსტრუქციონიზმი შემთხვევით ქოლგად იქცევა ტაქტიკალიზაციისთვის, ირონია, რომელიც არსად ისე აშკარა არ ყოფილა, როგორ 2005 წლის გაზაფხულზე ნეოკონსერვატორულ კამპანიაში ობსტრუქციის ელიმინაციისთვის შეერთებულ შტატებში მოსამართლეების დანიშვნაში.

ტაქტიკურად გამოიყენება, რათა დაიცვან პოლიტიკური თანამდებობის პირები, მაგრამ არა - ჟურნალისტები წყაროების გამხელის იძულებისგან ან გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაჟონვისთვის დევნისგან.

თანასწორობა, უნივერსალურობა, პოლიტიკური ავტონომია და თავისუფლება, მოქალაქეობა, სამართლის უზენაესობა, თავისუფალი პრესა - ევროატლანტიკურ სამყაროში კონსტიტუციური დემოკრატიის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რაგინდ არაადეკვატურად რეალიზებული, მისი ფუნდამენტებია. და სწორედ ესენია, რასაც ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობა გემბანს მიღმა მოისვრის ან სასტიკი დარტყმის ქვეშ აყენებს მმართველობის თავისი ალტერნატიული პრინციპებით.

ნეოკონსერვატიზმი

ბოლო წლებში გაცხოველებული დებატები მიდიოდა ნეოკონსერვატიზმის სახელით ცნობილი ფენომენის ინტელექტუალურ წყაროებზე, ევოლუციაზე, გადახრებსა და ჰიბრიდულ ფორმებზე. მასში მონაწილეობდნენ მის რიგებში თუ რიგებს გარეთ მდგომი სწავლულები და აქტივისტები, ამ საკითხზე კი ერთ-ერთი საუკეთესოა ორი ფრანგი ავტორის ნაშრომი.¹⁶ ფრენსის ფუკუიამა ალბათ მართალია, როცა ნეოკონსერვატიზმის სამარკო პრინციპებიდან მნიშვნელოვან გადახვევას ამოიცნობს იმ მომენტში, რომელშიც ნეოკონსერვატიზმმა პოლიტიკური და კულტურული კრიტიკიდან პოლიტიკურ ძალაუფლებაში გადაინაცვლა ბუშის ადმინისტრაციის სახით. მაგრამ ამ ნარკვევში ნეოკონსერვატიზმი გვანტერესებს არა როგორც ინტელექტუალური პროექტი, არამედ როგორც ახლად გაჩენილი პოლიტიკური რაციონალობა, რომლის მასაზრდოებელიცაა და რომლის მიერ ნაწარმოებიცაა კონკრეტული პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სუბიექტი. ამრიგად, ის, რაც აქ გვანტერესებს, აუცილებლად არის ნეოკონსერვატიზმის ბაუდლერიზებული ვერსია - პოლიტიკურ პრაქტიკაში არსებული ჰიბრიდი და არა თავდაპირველი ინტელექტუალური კონცეპტუალიზაცია.

მართლაც, განსხვავებით ფუკუიამას მიერ ნეოკონსერვატიზმის ოთხ ფუძემდებლურ პრინციპზე რედუქციისგან, ან გრანტ სმიტის მიერ ნეოკონსერვატიზმის ტენდენციური წარმოდგენისგან, როგორც გაერთიანებულისა მილიტარიზმის, კორპორატიზმის და იზრავლის გარშემო კონცენტრირებული „მრწამსით“, ნეოკონსერვატიზმი, როგორც პოლიტიკური ფორმაცია, არც იდეოლოგიურად და არც სოციალურად, ერთიანი არ არის.¹⁷ ის წარმოდგება ინტერესთა

¹⁶ Alain Frachon and Daniel Vernet, *L’Amerique messianique* (Paris: Editions de Seuil, 2004). სხვა ახსნებისათვის, სხვებს შორის, ასევე იხილეთ: Irwin Stelzer, ed., *The Neocon Reader* (New York: Grove, 2005); Norman Podhoretz, “Neoconservatism: A Eulogy”, in Norman Podhoretz, *The Norman Podhoretz Reader* (New York: Free Press, 1995); James Mann, *The Rise of the Vulcans: The History of Bush’s War Cabinet* (New York: Viking, 2004); Stefan Halper and Jonathan Clark, *America Alone: The Neo-conservatives and the Global Order* (Cambridge: Cambridge University Press, 2004); Anne Norton, *Leo Strauss and the Politics of American Empire* (New Haven, Conn.: Yale University Press, 2004); Shadia B. Drury, *The Political Ideas of Leo Strauss* (New York: St. Martin’s, 1988); Joseph Dorman, *Arguing the World: New York Intellectuals in Their Own Words* (Chicago: University of Chicago Press, 2001); Gary Dorrien, *Imperial Designs: Neo-conservatism and the New Pax Americana* (New York: Taylor and Francis, 2004); and Mark Lilla, “The Closing of the Straussian Mind”, *New York Review of Books*, November 4, 2004.

¹⁷ მართალია, ფუკუიამა ნეოკონსერვატიზმის ოთხ ფუძემდებლურ პრინციპს ამტკიცებს, მაგრამ ის ასევე ამბობს ამას:

ნეოკონსერვატიზმის თანამედროვე მტრები ძალიან აზვიადებენ თვალსაზრისების უნიფორმულობას, რომელთაც თვითგანსაზღვრული ნეოკონსერვატორების ჯგუფში 1980-იანი წლებიდან უარსებია. უნიფორმულობის არარსებობა, განსაკუთრებით 1989-91 წლებში, კომუნიზმის მოულოდნელი აღსასრულით გამოიკვეთა, როცა საგარეო პოლიტიკის შესახებ ერთიანობა აორთქლდა და ნეოკონსერვატორებმა ერთმანეთს შორის დაიწყეს ცივი ომის შემდგომ სამყაროში ამერიკის ეროვნული ინტერესების ბუნებაზე დებატები.

Francis Fukuyama, *America at the Crossroads: Democracy, Power and the Neoconservative Legacy* (New Haven,

შემთხვევითი თანხვედრებისგან ევანგელისტ ქრისტიანებს, ებრაელ სტრატეგებს, სეკულარულად თვითგამოცხადებულ და დასავლეთისგან ფეტიშის შემქმნელ „გაცივებულ მეომრებს“, კონსერვატიულ ფემინისტებსა და ოჯახის სხვა (ლინ ჩინის ტიპის) მორალისტებს, შემთხვევით იმპერიალისტებს, დაბოლოს, მოქცეულ ლიბერალებსა თუ სოციალისტებს შორის, რომელთაც, ირვინ კრისტოლის ავადსახსენებელი სიტყვებით, „რეალობამ დასცინა“.¹⁸ ნეოკონსერვატიზმი აერთიანებს ინტელექტუალებსა და ანტიინტელექტუალებს, სეკულარულ ებრაელებსა და ევანგელისტ ქრისტიანებს, სოვიეტოლოგებად გადაქცეულ კამერულ მუსიკოსებს, პოლიტიკის ექსპერტებად გადაქცეულ პოლიტიკური თეორიის პროფესორებს, გაბრაზებულ თეთრკანიან კაცებსა და ზნეობრიობაზე მშფოთავ შავკანიან კაცებს. მოკლედ, ნეოკონსერვატიზმი იბადება პირდაპირი მნიშვნელობით უწმინდური ალიანსიდან, რომელიც მხოლოდ უსწორმასწოროდ და ოპორტუნისტულადაა რელიგიური, თუმცა, მოგვიანებით ჩვენ დავუბრუნდებით რელიგიის მნიშვნელობას ხალხის მასებში ნეოკონსერვატიზმის ხიბლის გაძლიერებაში და, განსაკუთრებით, მისი ავტორიტარიზმის მისაღებობის მომზადებაში.

ენ ნორტონის სიტყვებით, რაც ნეოკონსერვატორებს აერთიანებს, არის სურვილი

ძლიერი სახელმწიფოსი და სახელმწიფოსი, რომელიც თავის ძალას გამოიყენებს. ...[ისინი] ისურვებდნენ, რომ სახელმწიფო კორპორაციების მოკავშირე იყოს და გააძლიეროს ისინი. ნეოკონსერვატორები უკუაგდებენ მასობრივი კულტურის ვულგარულობას. ისინი არტისტების და ინტელექტუალების დეკადანსზე ვიწვიშებენ. ისინი, თუმცა კი თვითონ ყოველთვის რელიგიურები არ არიან, რელიგიისა და ჯვაროსნული ომების მოკავშირეებად გვევლინებიან. ისინი წახალისებენ ოჯახურ ღირებულებებს და აქებენ ოჯახური ცხოვრების შედარებით ძველ ფორმებს, სადაც ქალების საქმეა ბავშვები, სამზარეულო და ეკლესია, ხოლო კაცები მამაკაცურობის ტვირთს იღებენ თავიანთ თავზე. ომსა და ომისთვის მზადებაში ისინი კერძო სათნოებისა და საზოგადო სულისკვეთების აღდგენას ხედავენ. ...უპირველეს ყოვლისა, როგორც ირვინ კრისტოლი წერს, ნეოკონსერვატიზმი მოითხოვს პატრიოტიზმის, ძლიერი სამხედრო ძალისა და ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის აღრმინებას.¹⁹

მაშინ, როცა ნეოკონსერვატიზმის (რომელსაც ირვინ კრისტოლი ორიენტაციას უწოდებს და არა მოძრაობას) ძალიან განსხვავებულ ელემენტებს ზოგჯერ თითქოს მხოლოდ სიძულვილის საერთო ობიექტები - გაერო, საერთაშორისო ამნისტია და მსოფლიო სასამართლო; ლატე ლიბერალები, გადანაწილების მომხრე ველფარისტები, უღმერთო ლიბერტინები და დროშის დამწვევლები; მუსლიმები, ევროპული კოსმოპოლიტიზმი, კრიტიკული ინტელექტუალები, ჯეინ ფონდა, სანფრანცისკო და ეთიკის კომისიები - აკავშირებს ერთმანეთთან, ნორტონის აღწერა გვკარნახობს, რომ მის უცნაურ ნაწილებს ერთმანეთზე გადააკერებს ძლიერი, სახელმწიფოს მიერ წარმართული და კანონმდებლობით განმტკიცებული მორალურ-პოლიტიკური ხედვა. ფუკუიამაც, ასევე, ამტკიცებს, რომ ნეოკონსერვატიზმის კონტურებს მოხაზავს „ძალაუფლებისა და მორალის დაკავშირების შესაძლებლობის“ რწმენა და, განსაკუთრებით, რწმენა, „რომ ამერიკის ძალა გამოიყენებოდა და შეიძლება გამოიყენებოდეს მორალური მიზნებისთვის“.²⁰ საშინაო თუ საერთაშორისო სფეროში მორალიზებული სახელმწიფო ძალაუფლების ღიად მიღებაა ის, რაც ნეოკონსერვატიზმს ძველი კონსერვატიზმისგან გამიჯნავს, რას მას „ნეო“-დ აქცევს. როგორც ნორტონი ამტკიცებს,

Conn.: Yale University Press, 2006), 39; ასევე იხილეთ Grant Smith, *Deadly Dogma: How Neoconservatives Broke the Law to Deceive America* (Washington, D.C.: Institute for Research: Middle Eastern Policy, 2006).

¹⁸ ისინი, ვინც დღეს ნეოკონსერვატიზმის ქრისტიანულ ფუნდამენტალისტურ ბირთვს ამტკიცებენ, ამ რთულ ანსამბლს არ ითვალისწინებენ.

¹⁹ Norton, *Leo Strauss and the Politics of American Empire*, 178. Norton's description specifically aims to reveal the affinities of neoconservatism with Nazism.

²⁰ Fukuyama, *America at the Crossroads*, 63, 48.

ნეოკონსერვატიზმი უარს ამბობს კლასიკური კონსერვატიზმის ერთგულებაზე თავშეკავებული ლიბერტიარიანიზმის, იზოლაციონიზმის, მომჭირნეობისა და ფისკალური სიხისტის მიმართ, მის რწმენაზე საზღვრებსა და ზომიერებაში, მის სიახლოვეზე დახვეწილობის, ზნეობრიობის, ცივილურობის, განათლებისა და დისციპლინის არისტოკრატიულ სათნოებებთან.²¹ თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, მას სულს შთაბერავს ძალაუფლებისკენ ამკარად გაცხადებული სწრაფვა, დასავლეთში მორალური დაცემის თუ გახრწნის მდგომარეობის გამო ძრწოლა და, ამის თანმხლებად, დასავლეთისა თუ მისი ღირებულებების გარკვეული წარმოსახვის მორალიზება. ამრიგად, მართალია, ბევრი ნეოკონსერვატორი ვიშვიშებს „სოციალურ ინჟინერიაზე“, რომელსაც ისინი სოციალიზმსა და ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ ეგალიტარულ პროექტებს მიაწერენ, როგორებიცაა აფირმატული ქმედება, ინტეგრაცია და სიღარიბის შემცირება, მაგრამ ნეოკონსერვატიზმი სულაც არ უპირისპირდება სახელმწიფოს მიერ წარმართულ ბიჰევიორიზმს ნეოლიბერალიზმზე მეტად. პირიქით, ის სახელმწიფოს, კანონმდებლობის ჩათვლით, საზოგადოებისთვის, მეტიც, მთელი მსოფლიოსთვის მორალურ-რელიგიური კომპასის მომართვის ამოცანას აკისრებს. სახელმწიფო ძალაუფლების ასეთი მიღება და სახელმწიფოსთვის მორალური ავტორიტეტის გადაცემა კონფლიქტშია ლიბერალიზმთან ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით.²²

ნეოლიბერალიზმი და ნეოკონსერვატიზმი

ამრიგად, ნეოლიბერალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის სახით ჩვენ წინაშეა საბაზრო-პოლიტიკური რაციონალობა და მორალურ-პოლიტიკური რაციონალობა, ერთ მხარეს სახელმწიფოს ბიზნესის მოდელით და მეორე მხარეს - სახელმწიფოს თეოლოგიური მოდელით. და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრ ამერიკულ ეკლესიას და სხვა რელიგიურ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი კორპორაციული განზომილებები აქვს (და ხშირად თავის მრევლს ნეოლიბერალურ დისკურსში მიმართავს) და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრმა პოსტ-ფორდისტულმა ფირმამ მოძღვრის თვისებები და მოვალეობები მოირგო (და ხშირად თავის თანამშრომლებს თუ „გუნდის წევრებს“ მოძღვრის დისკურსში მიმართავს), აქ სერიოზული მასალა არსებობს შეჯახებისთვის. მართლაც, ეს ორი რაციონალობა ერთმანეთს გამუდმებით ეჯახება იმაში, რასაც ბევრი აყალიბებს იმის თქმით, რომ შეუძლებელია რესპუბლიკური პარტია ცდილობდეს, ერთდროულად იყოს ზნეობრივი ღირებულებების პარტიაც და დიდი ბიზნესის პარტიაც. ამის ტრივიალური მაგალითებია სუპერთასის ტრანსლირებისა შესვენების დროს გასული შოუები და რეკლამები, რომლებშიც ჯენიტ ჯეკსონის ამბიციამ ახალ კომპაქტდისკთან დაკავშირებით, პფაიზერის მიზანმა, ახალგაზრდობითა და სექსით შეპყრობილი საზოგადოებისთვის ვიაგრა მიეყიდა, ABC-ის მიზანმა, „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ რეიტინგი გაეზარდა - ყველა ამან გამოიწვია სკანდალური შემთხვევები, რომლებმაც ნეოკონსერვატორები რეგულატორული ვნების აპოთეოზში ჩააგდო. უფრო მნიშვნელოვან მაგალითებს შორისაა პოლიტიკური ეთიკის სკანდალებისა (გინგრიჩიდან დელეიმდე, ფრისტიდან ლიბიმდე და დუკ კანინგემიდან ჯეკ აბრამოვამდე) და კორპორატიული სკანდალების (ენრონიდან ვორლდკომამდე, და ჰოლიბარტონიდან ჰარკენამდე) სტაბილური სერია. ეს რაციონალობები ამკარად ეჯახება ერთმანეთს საგარეო პოლიტიკის სფეროშიც, სადაც ის, რასაც კრიტიკოსები უხეშად მოიხსენიებენ, როგორც იმპერიულ ქცევას, მერყეობს ერთ მხარეს კორპორაციული და თავისუფალი ვაჭრობის ინტერესების გატარებასა და მეორე მხარეს - ამ ინტერესებთან კონფლიქტში მყოფ სტეიტისტურ მორალურ ჯვაროსნულ ლაშქრობებს შორის; წარმოშობს არამდგრად და არათანმიმდევრულ მიდგომებს უსაფრთხოების სხვადასხვაგვარ

²¹ Norton, *Leo Strauss and the Politics of American Empire*, 168-78.

²² ფუკუიამასთვის ნეოკონსერვატიზმის ეს აღწერა უკვე მისი დამახინჯებაა „კრისტოლ-კაგანის პროგრამით“, „ექსპანსიური, ინტერვენციონისტური, დემოკრატიის ხელშემწყობი პოზიციით“, რომელიც ზედმეტად აფართოებს აქტივისტური საგარეო პოლიტიკის და, განსაკუთრებით, „რეჟიმის შეცვლის“ იდეას. Fukuyama, *America at the Crossroads*, 40-44.

„საფრთხეებთან“ (ერაყი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა), „ადამიანის უფლებების დარღვევებთან“ (ჩინეთი, კუბა, თალიბანი), და „კაცობრიობის საფრთხეებთან“ (ნარკოტიკებისა და იარაღის პოლიტიკური ეკონომიკა); ასევე, სულ უფრო მეტ დაპირისპირებას იწვევს იზრავის საკითხზე. ნეოკონსერვატიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის ასევე არსებობს დაძაბულობა სამხედრო ხარჯებით გამოწვეული ფედერალური ვალის მდგრადი დონის თაობაზე: მართალია, ამ ორიდან არც ერთი რაციონალობა არ იზღუდავს თავს ფისკალური მომჭირნეობით და დაბალანსებული ფედერალური ხარჯვით, რომელსაც კლასიკური ნეოკონსერვატორები იცავდნენ, ნეოლიბერალები საკმაოდ უკმაყოფილოები არიან ნეოკონსერვატორების ხელში გაბერილი სამხედრო ხარჯებით.

მაგრამ სკანდალებისა და პოლიტიკური კურსის შესახებ კონფლიქტებს მიღმა არსებობს ნეოლიბერალური ეკონომიკის, მმართველობისა და პოლიტიკური რაციონალობის რუტინული ზეგავლენები ყოველდღიურობაზე, ზეგავლენები, რომლებთანაც დაძაბულობაშია ნეოკონსერვატორული პრინციპები. ასეთთა შორისაა მცირე ბიზნესისა და ადგილობრივი ვაჭრობის განადგურება; სამუშაო ადგილებისა და პროფკავშირების მიერ უზრუნველყოფილი ხელფასების, ბენეფიტებისა და სამუშაო ადგილების დაცვის გაქრობა; ფედერალური და შტატის მიერ დაფინანსებული იმ ინფრასტრუქტურის (განათლების, ტრანსპორტის, გადაუდებელი სამსახურების) გამოშვივება, რომელსაც ოჯახებისა და ქალაქების არსებობა ემყარება. აქ ნეოლიბერალიზმის ყველა ასპექტის „მდიდრები-უფრო-მდიდრებიან“ განზომილებები უპირისპირდება ნეოკონსერვატიზმის აუცილებელ დასაყრდენს მუშათა და ქვედა საშუალო კლასის პოპულისტურ ბაზაში და, განსაკუთრებით, მის მიერ ტრადიციული მასკულინობისა და ოჯახის სტრუქტურის კულტივაციას, რომელთაც ძირს უთხრის როგორც კლებადი რეალური ხელფასები, ისე გამარცვული ინფრასტრუქტურა და სოციალური სამსახურები. ხოლო პატიოსან, პატრიოტ, მორალურ და თავგანწირვისთვის მზადყოფ ნეოკონსერვატიულ სუბიექტს ნაწილობრივ ანადგურებს ალტრუიზმისგან დაცლილი და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით დაბრმავებული ნეოლიბერალური სუბიექტი: მკაცრი საშუალება-მიზნისთვის გამოთვლებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნეოლიბერალური რაციონალობა (და ამ ხატის მიხედვით სახელმწიფოს, მოქალაქეების, სუბიექტების ჩამოქნა) ეჯახება ნეოკონსერვატიულ პროექტს, რომელიც მორალური სუბიექტის და მორალური წესრიგის შექმნას ესწრაფვის კულტურაში ბაზრის ეფექტების საწინააღმდეგოდ და სურვილის დაკმაყოფილების ნაცვლად, რეპრესიასა და სუბლიმაციაზეა ორიენტირებული.

აღბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ნეოლიბერალიზმი გვისახავს მომავალს, რომელშიც კულტურული და ეროვნული საზღვრები ძირითადად წაშლილია, რომელშიც ყველა ურთიერთობა, მიჯაჭვულობა და წამოწყება მონეტარულ კავშირს ექვემდებარება, ხოლო ნეოკონსერვატიზმი, პატრიოტიზმის, რელიგიურობისა და დასავლეთის დისკურსების მეშვეობით, კულტურული და ეროვნული საზღვრების, საკრალურის და სინგულარულის გამოკვეთას და გაკონტროლებას ცდილობს. ნეოლიბერალიზმი მომავალს შეჰყურებს გლობალური წესრიგის იმედით, რომლის კონტურებსაც უნივერსალიზებული ბაზრის რაციონალობა განსაზღვრავს, რომელშიც კულტურული განსხვავებები, დიდი დიდი, საქონელია, ეროვნული სახელმწიფოს საზღვრები კი - მხოლოდ კულინარიული განსხვავებებისა და პროვინციული სამართლებრივი წესრიგის მარკერები; ხოლო ამერიკული ნეოკონსერვატიზმი უკან იყურება ნაციონალური და ნაციონალისტური წესრიგისკენ, რომლის კონტურებსაც შემთხვევითი იმპერიული ამბიციებით შეფერილი მორალური და პოლიტიკური მიჯაჭვულობების ერთობლიობა განსაზღვრავს. უფრო ზოგადად, ნეოლიბერალიზმი დარწმუნებით თვითიდეტიფიცირდება მომავალთან და, საკუთარი თავის ნორმალურად და არა ანტაგონისტურად წარმოდგენით, არ აღიარებს არავითარ ალტერნატიულ მომავალს. ნეოკონსერვატიზმი, მეორე მხრივ, პოტენციურად გაქრობადი წარსულისა და აწმყოს მცველად და ადვოკატად, დანაკარგის წინააღმდეგ აღმართულ ჯებირად თვითიდეტიფიცირდება და თავის თავს წარმოადგენს ალტერნატიული მომავლის სერიოზული საფრთხეების წინააღმდეგ მეომრად, რომელთაც შინ „ლიბერალიზმთან“, და საზღვარგარეთ - „ბარბარიზმთან“ აიგივებს.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნეოკონსერვატიზმი ასევე იზადება, ნაწილობრივ, როგორც კაპიტალიზმის მიერ საზრისისა და მორალის ეროზიაზე პასუხი, და რომ ნეოკონსერვატიზმის ფუძემდებლები, როცა კომუნიზმს, როგორც პოლიტიკურ და სოციალურ ფორმას უპირისპირდებოდნენ, იშვიათად იყვნენ თავისუფალი ბაზრის გულმხურვალე ქომაგები. პირიქით, კარგადაა ცნობილი, 1978 წელს ირვინ კრისტოლმა, ორიგინალურმა და პარადიგმულმა ნეოკონსერვატორმა, როგორ მიუძღვნა კაპიტალიზმს „ორი სადღეგრძელო“ იმ თავისუფლებისა და სიმდიდრისთვის, რომელიც მას ადამიანთა უმრავლესობისთვის მოაქვს, მაგრამ თავი შეიკავა მესამისგან, რადგან „მომხმარებლური საზოგადოებები დაცლილია მორალური საზრისისგან, თუ პირდაპირ ნიჰილისტური არ არის“. ამრიგად, ნეოკონსერვატიზმის თავსატეხი, როგორ შეინარჩუნოს თუ ააღორძინოს მორალური ქსოვილი, რომელსაც კორპორაციების ბატონობა აქვცმაცებს, რეალურად ნეოკონსერვატიზმის საძირკველია, მისი ინტელექტუალებისთვის მაინც. კორპორაციული სიმდიდრის როგორი ენთუზიასტებიც არ უნდა იყვნენ და სოციალურად და პოლიტიკურად მასთან როგორც არ უნდა იყვნენ დაახლოებულები, არც ერთი ნეოკონსერვატორი არ არის წმინდა ნეოლიბერალი, თუმცა ბევრი მათგანი იმ დონემდე იღებს ნეოლიბერალიზმს, რომ საკუთარ თავს სიძნელეებს უქმნის და ისეთ ვერბალურ აჯაფსანდალს აფრქვევს, რომელშიც ერთმანეთშია არეული ზნეობრივი ურყევობისა და მეწარმული ანგარიშიანობის იდიომები. მაინც, „კორპორაციული პასუხისმგებლობა“ ისევე იქცა ნეოკონსერვატორების ლოზუნგად, როგორც ლიბერალებისა თუ მემარცხენეებისა, თუნდაც, თუ თითოეული მათგანისთვის სხვადასხვაა ის საგნები, რის წინაშე და რის გამოც პასუხისმგებლები უნდა იყვნენ კორპორაციები.

ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობაც კი არ ისახავს მიზნად სახელმწიფოს და საზოგადოების დაცლას მორალური და პოლიტიკური ნორმებისგან. სანაცვლოდ, ის ემსახურება ასეთი ნორმების გავრცელებას და რეალიზებას ბაზრის მექანიზმებით - წახალისებებით და არა ბრძანებებით (ამის სახელგანთქმული ამერიკული მაგალითებია მუშაობის და ქორწინების შეღავათები უქონელთათვის, და „სამი ხაზის“ კანონები, რომლებიც მესამე წვრილმან სამართალდარღვევას ბოროტმოქმედების დონის პატიმრობას უფარდებს). მეტიც, ნეოლიბერალიზმის მსგავსად, ნეოკონსერვატიზმი არ უპირისპირდება მთავრობას, თუნდაც მაშინ, როცა ის ლეგიტიმაციისთვის უფრო ძველი კონსერვატიზმისგან მიღებულ მემკვიდრეობას ეყრდნობა დაბეგვრასა და სოციალურ დახმარებასთან თავის დაპირისპირებაში. ნეოკონსერვატორები უპირისპირდებიან სახელმწიფოს მიერ სიმდიდრის გადანაწილებას, მაგრამ არა ძვირ მთავრობას, როგორც ასეთს, და ასევე სელექციურად იწონებენ მთავრობის ჩარევას, ცენზურას და რეგულირებას დაბალი რასებისა და დაბალი კლასისთვის, კრიტიკულად განწყობილი ინტელექტუალებისთვის, უსაფრთხოებისა და ზნეობის საკითხებისთვის. ირვინ კრისტოლის სიტყვებით,

ნეოკონსერვატორები არ განიცდიან ... განგაშს ან შფოთვის გასულ საუკუნეში სახელმწიფოს ზრდის გამო, რადგან ამას მიიჩნევენ ბუნებრივად, მეტიც, გარდაუვლად. ... ადამიანებს ყოველთვის ერჩივნათ ძლიერი მთავრობა სუსტ მთავრობას, თუმცა უდავოა, რომ მათ არ მოსწონთ არაფერი, რასაც ზედმეტად ჩამრევი მთავრობის გემო აქვს. ... ნეოკონსერვატორები და რელიგიური ტრადიციონალისტები ... ერთსულოვნები არიან განათლების ხარისხის, ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის, პორნოგრაფიის რეგულირების და მსგავსი საკითხების თაობაზე, რომლებიც მათ მთავრობის ყურადღების შესაფერის კანდიდატებად მიაჩნიათ. და, შემდეგ, რა თქმა უნდა, მოდის საგარეო პოლიტიკა.²³

ისევ და ისევ, როგორც ნეოლიბერალები გადაუხვევენ ბაზრის მხარდასაჭერად და სოციალური მიზნების ჩამოსაყალიბებლად კანონისა და პოლიტიკის მობილიზებაში „ლესე-ფერ“ ეკონომიკიდან, ზუსტად ისევე, ნეოკონსერვატორებიც სტეიტისტები არიან: ისინი მხარს უჭერენ

²³ Irving Kristol, “The Neoconservative Persuasion”, *Weekly Standard*, August 25, 2003, http://www.weeklystandard.com/Utilities/printer_preview.asp?idArticle=3000&R=EC72321FB.

სახელმწიფოს მიერ ზნეობის რეგულირებას, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკისთვის მიმართულების მიცემას და, რა თქმა უნდა, ძლიერი სახელმწიფო სამხედრო ძალების შექმნას. როგორც სტრაუსიანელები იტყოდნენ, მთავრობა პილოტია პლატონური აზრით: ის ბოდიშის მოხდის გარეშე წარმართავს მორალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხომალდს და, როგორც ვნახავთ, ამის ლეგიტიმაციისთვის ნაწილობრივ ეყრდნობა რელიგიურად გამოხმობილ მოქალაქეობას - იერარქიისა და ავტორიტეტის მიმართ მორჩილს და დელიბერაციისა და აზროვნების მიმართ დიდწილად გულგრილს. თუ ნეოკონსერვატორული მმართველობა ამ წარმართვის რაც შეიძლება დიდ ნაწილს ნეოლიბერალური პოლიტიკური ტექნოლოგიების მეშვეობით შეიძლება ახორციელებდეს, რომლებიც სოციალური დახმარების მიმღებთაგან და არალეგალური ემიგრანტებისგანაც კი კარგ მეწარმე აქტორებსა და მომთხოვნ მომხმარებლებს ქმნის, ის არ დაირცხვენს ნორმების ამკარად განსაზღვრისა და იძულებისათვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ქორწინება, ფისკალური პოლიტიკა ან ომი.

რას ამატებს მართვის ნეოკონსერვატორული ცნებები და პრაქტიკები, როცა ისინი ზემოდან დაედება პოლიტიკურისა და მოქალაქის ნეოლიბერალურ წარმოებას? პირველი, ისინი გააძევენ სახელმწიფოს ლეგიტიმაციის ლიბერალურ-დემოკრატიულ წესებს, რომლებიც ომისშემდგომ მეოცე საუკუნეში გარანტირებულად მიიღებოდა, მათ შორის მათ, რომლებიც „დემოკრატიულ“ სახელმწიფოებს უნივერსალურობის, პროცედურულობის და იურიდიულობის; რელიგიურად და კულტურულად სეკულარულობის; და მშვიდობიანობისა და თავდაცვაზე ორიენტირებულობის ზეთს აცხებდა. ლეგიტიმურობის ეს კვანძები ახლა ჩანაცვლებულია სახელმწიფოს ხატი, რომელიც ღიად მიკერძოებული, მანიპულატორული და პოლიტიკურია; ღიად არის დაინტერესებული კულტურით და ბაზრით; ღიად არის ჩართული სამოქალაქო რელიგიის მხარდაჭერაში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ოჯახის ფორმას, სამომხმარებლო პრაქტიკებს, პოლიტიკურ პასიურობას და პატრიოტიზმს; და ღიად და აგრესიულად იმპერიულია. ამ რეფორმულირებებიდან თითოეული თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთად ურთიერთგაძლიერების მიმართებას ამყარებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ხელახლა ლეგიტიმიზებულ სტეიტისთან.

ამის გარდა, მართალია, ნეოკონსერვატიზმი, ნეოლიბერალიზმის მსგავსად, „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიის“ მანტიაში იმოსება, ნეოკონსერვატორული პოლიტიკური პროექტები განდევნის იმ ძირითად პრინციპებსა და დაშვებებს, რომლებიც დიდი ხანია ასოცირებულია კონსტიტუციურ დემოკრატიასთან. თანასწორობა არ არის ღირებულება, რომელსაც ნეოკონსერვატორულ ან ნეოლიბერალურ სამყაროში სადმე იპოვნით; პირიქით, ეგალიტარიზმი გაიგება „მაცდურ დემაგოგიურ ხრიკად“, რომლის მიმართაც „საკუთრების მფლობელი და გადასახადების გადამხდელი მოსახლეობა დროთა განმავლობაში ნაკლებად მოწყვლადი გახდება“.²⁴ მხოლოდ ის კი არ არის, რომ ნეოკონსერვატიზმი რედისტრიბუციას საშუალო კლასის მიმართ უსამართლობად წარმოადგენს, არამედ ისიც, რომ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური რაციონალობა ამკარად არის ამბავი მოგებულებსა და წაგებულებზე, თავიანთი მეწარმეობის უნარების მიხედვით, ხოლო ნეოკონსერვატიზმის პოლიტიკური რაციონალობა არის ამბავი რაც გიშოვნია იმის შენარჩუნებაზე და შენი საკუთარის დაცვაზე, იქნება ეს ადამიანის ოჯახი თუ ეროვნული ოჯახი. მეტიც, ამერიკის სიმდიდრეს ნეოკონსერვატორები წარმოადგენენ, როგორც მისი სიდიადის ნაწილს (და იმის ნაწილს, რის გამოც ის სასურველია ზოგიერთი უცხოელისათვის და საძულველია სხვებისთვის) და, შესაბამისად, პატრიოტული მიჯაჭვულობის სათანადო ელემენტს. ეს ანტიამერიკულად აქცევს მდიდრების მიმართ ნებისმიერ უკმაყოფილებას - მსჯელობა, რომელიც ასევე ანეიტრალურებს ბრაზს მუშათა კლასის ცხოვრების სტანდარტების გაუარესების გამო, რომლებიც, თომას ფრანკის სიტყვებით, კმაყოფილები არიან „თავიანთი დაბალი ანაზღაურებითა და ჭარბი წონით“ მანამ, სანამ მდიდრების პარტიაც ტაშს დაუკრავს ამას, როგორც „ნამდვილ ამერიკას“.²⁵

²⁴ იქვე.

²⁵ Thomas Frank, *What's the Matter with Kansas* (New York: Henry Holt, 2005).

გარდა ეგალიტარიზმისა, ნეოლიბერალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის ამ შეხვედრაში ასევე კარგავს ძალას სამოქალაქო უფლებები, სამართლიანი არჩევნები, კანონის უზენაესობა; ისინი ინსტრუმენტებად ან სიმბოლოებად იქცევა და არა განმად, ბოლომდე დესაკრალიზდება, თუნდაც რიტორიკულად მათ ისევ მოიმარჯვებდნენ, როგორც დემოკრატიის სხივებს. ნეოლიბერალიზმს არ სჭირდება ისინი, ხოლო ღირებულებათა ნეოკონსერვატორული პრიორიტეტები და სახელმწიფო ძალაუფლება პირდაპირ გაამეფებს მათ.

ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ნეოკონსერვატიზმის მორალიზმს, სტიტიზმსა და ავტორიტარიზმს ძირეულად გზას უხსნის ნეოლიბერალური რაციონალობა, მიუხედავად იმისა, რომ ნეოკონსერვატიზმი ნეოლიბერალიზმის ზოგიერთი გავლენის შეზღუდვას და გამოსწორებას ისახავს მიზნად და ეს ორი რაციონალობა არ არის შეთანხმებული. ნეოლიბერალიზმი განამხოლოდ წარმოშობს პრობლემების ჯგუფს, რომელთაც ნეოკონსერვატიზმი პასუხობს, ან, როგორც კრიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომლებიც ნეოკონსერვატიზმის კორპორაციულ/ეკონომიკური საყრდენის როლს ასრულებს, არამედ, ნეოლიბერალურმა პოლიტიკურმა რაციონალობამ, რომელმაც არ იცის არავითარი პოლიტიკური პარტია, წინასწარგანუზრახველად მოამზადა ნიადაგი იმისთვის, რათა ღრმად ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ იდეებსა და პრაქტიკებს ფესვი გაედგათ კულტურასა და სუბიექტში. სწორედ ეს ამღევს საშუალებას ნეოკონსერვატიზმს, რომ იქცეს რაღაც მეტად, ვიდრე სადავო პოლიტიკური იდეოლოგია ან დღის წესრიგია, რომლის ვარსკვლავიც შეიძლება ამობრწყინდეს ან ჩაესვენოს ეკონომიკური ინდიკატორების, იმიგრაციის პოლიტიკის ან წარმატებული იმპერიული ომების მიხედვით. ნეოლიბერალიზმის მიერ მომზადებულ ნიადაგში დათესილი ნეოკონსერვატიზმი ასაზრდოებს ახალ პოლიტიკურ ფორმას - მთავრობისა და მოქალაქეობის სპეციფიკურ მოდალობას, რომლის თვით ფორმალურ დემოკრატიულ პრაქტიკებსა და ინსტიტუტებთან შეუთავსებლობაც კი არ იწვევს ლეგიტიმაციის კრიზისს ამ პრაქტიკებისა და ინსტიტუტების იმ ნეოლიბერალური გაუფასურების გამო, რომელსაც შემდეგ ნეოკონსერვატიზმი აკურთხებს.

ეს არგუმენტი განსხვავდება არა მხოლოდ იმ არგუმენტებისგან, რომლებიც ნეოლიბერალიზმს ნეოკონსერვატიზმში თქვეფს, არამედ ისეთი არგუმენტებისგანაც, როგორსაც თომას ფრანკი სტატიაში, „რა სჭირს კანზასს“, ავითარებს. ამ უკანასკნელის მიხედვით, ნეოკონსერვატორები მუშათა და საშუალო კლასს არაგულწრფელი „ღირებულებებზე ლაპარაკით“ ასულელებენ, როცა მათ თანამონაწილეობასა და ხმებს მათი ინტერესების პირდაპირ საპირისპირო კორპორაციული დღის წესრიგის გასატარებლად იყენებენ.²⁶ ფრანკი ამტკიცებს, რომ ნეოკონსერვატორები, რომლებიც „ლაპარაკობენ ქრისტეზე, მაგრამ საქმიანობენ კორპორაციებისთვის“, ახერხებენ მუშათა კლასის ამომრჩევლების მობილიზებას მორალური საკითხების გარშემო, რომლებზეც რეალურად არაფერს აკეთებენ, მაგრამ რომლებიც ამ ამომრჩევლებს მათზე მიჯაჭვულს ტოვებს. ამით აიხსნება პერიოდული დაბრუნება კონსტიტუციის შესწორებების ინიციატივებისა და სხვა, ძირითადად მარცხისთვის განწირული კანონპროექტებისკენ, რომლებიც გამიზნულია დროშის დაწვის, აბორტის, ჰომოსექსუალური კავშირების, ღეროვანი უჯრედების კვლევის, საჯარო სკოლებში ევოლუციის, როგორც მეცნიერების, ან სეკულარიზმის პრინციპების სავალდებულო სწავლების აკრძალვისთვის. მართალია, ფრანკი ამკარად სწორია იმაში, რომ ამ საკითხებში ნეოკონსერვატორების ლიდერების ხელი ურევია და რომ მათი პოლიტიკური ინიციატივები მათი მუშა და საშუალო კლასის მხარდამჭერების ეკონომიკურ კეთილდღეობას უპირისპირდება, მაგრამ მისი ანალიზი წინასწარ უშვებს „ინტერესებს“, რომელთაც ის ამ ბაზისს მიაწერს, ნაცვლად იმისა, რომ მათ შესახებ შეკითხვა დასვას. ნეოლიბერალური დედემოკრატიზაცია აწარმოებს სუბიექტს, რომელსაც მსგავსი ინტერესები შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს, რომელიც შეიძლება უფრო მონდომებული იყოს თავის საკუთარ დაქვემდებარებაში და თანამონაწილეობდეს საკუთარ

²⁶ იქვე.

სუბორდინაციაში, ვიდრე რომელიმე დემოკრატიულ სუბიექტზე შეიძლება ითქვას ეს.²⁷ სხვა სიტყვებით, თუმცა ფრანკი დამაჯერებლად გვიხსნის, როგორ ისარგებლეს მდიდრებმა და ძლიერებმა ამერიკის მუშათა და საშუალო კლასის იმედგაცრუებით და ფრუსტრაციით, მისი ახსნა მორგებულია მოდელზე, რომელშიც ერთ მხარეს ობიექტური ინტერესებია, მეორე მხარეს კი იდეოლოგიური ტვინის არევა და მანიპულაცია. ამრიგად, „ყალბი ცნობიერების“ გაცვეთილი ცნების შემოტანით, ის გარკვეულ პოლიტიკურ იმედს აღვიძებს და თვალს ხუჭავს უფრო შემამფოთებელ შესაძლებლობაზე, რომ ამერიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში უკვე დაბუდებულია ამაზრზენი, არაემანსიპატორული და ანტიეგალიტარული სუბიექტური ორიენტაცია.

ამის უფრო ნათლად დასანახად დავუბრუნდეთ ნეოლიბერალური დედემოკრატიზაციის ოთხ ასპექტს, რომელთაც ახლა განვიხილავთ, როგორც ნიადაგს ახალი პოლიტიკური ფორმისთვის, რომელიც, ჩემი მტკიცებით, იწარმოება ნეოლიბერალური და ნეოკონსერვატორული რაციონალობების კვთაზე: 1. პოლიტიკური ავტონომიის გაუფასურება; 2. პოლიტიკური პრობლემების ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ პრობლემებად, რომელთაც საბაზრო გადაწყვეტა აქვთ; 3. მომხმარებელი-მოქალაქის წარმოება, რომელიც ღიაა მართვისა და ძალაუფლების მაღალი ხარისხისთვის; 4. სტეიტის ლეგიტიმაცია.

პოლიტიკური ავტონომია

ვინაიდან ნეოლიბერალიზმი ღირებულებათა თავისი ცხრილიდან პოლიტიკურ ავტონომიას და პოლიტიკური მონაწილეობის დამოუკიდებელ ღირებულებას განდევნის, ამით ის თავიდან იშორებს დემოსში ძალაუფლებისა და მმართველობის განაწილების დემოკრატიულ პრინციპს, ან თუნდაც თვითკანონმდებლობის ან პოლიტიკური მონაწილეობის უფრო მოკრძალებულ დემოკრატიულ ღირებულებას. ჰაბერმასი წერს, რომ თავისუფლების ნეოლიბერალური კონცეფცია

უკავშირდება ადამიანის ნორმატიულად დაკნინებულ კონცეფციას. პიროვნების, როგორც „რაციონალური გადაწყვეტილებების მიმღების“ კონცეფცია არა მხოლოდ დამოუკიდებელია მორალური პიროვნების იდეისგან, რომელიც საკუთარ ნებას განსაზღვრავს იმაზე დაფიქრებით, თუ რა შედის ყველას, ვისაც ის ეხება, თანასწორ

²⁷ ნეოკონსერვატორული სტრატეგიის ფრანკისეულ აღწერაში ის წარმოდგენილია, როგორც გნებამახვილური და (მეტისმეტად) სრული, როგორც ექსპლიციტურად მიმართული მუშათა და საშუალო კლასის გაბრიყვებაზე მათი „ნამდვილი“ სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, რისთვისაც ლიბერალების მიმართ მათ ბრახსა და მორალის მიმართ მათ ინტერესს იყენებს. მოკლედ, ის ამტკიცებს, რომ პატიოსანი, მორალური და მშრომელი პატარა კაცის ხატსა და ელიტისტებად და ყველანაირად თავაშვებულად წარმოდგენილი ლიბერალების ხატს შორის ანტაგონიზმის შექმნით, ნეოკონსერვატორები მორალის ენას (ბუშის 2004 წლის კამპანიის თემა - „ჩვენ საერთო გვაქვს ღირებულებები“) იყენებენ, რათა კორპორაციული კლასის ინტერესები მშრომელთა ინტერესებთან დააკავშირონ. ეს ენა კაპიტალიზმის ნაცვლად ლიბერალებს აკისრებს კულტურის ვულგარულობისა და ზნეობრივი დეგრადაციისთვის პასუხისმგებლობას და ლიბერალებს ძირითადად აიგივებს გეი ქორწინების, აბორტის, ქალთა უფლებების, სეკულარიზმის მხარდაჭერასთან და პორნიგრაფიის თავისუფალი სიტყვის არგუმენტებით დაცვასთან. რადგან ეს სტრატეგია როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა აგენდების ზედმიწევნით მორალიზებას აკეთებს, ის მეტონიმურად აკავშირებს ყველაფერს, რისთვისაც თითოეული მხარე დგას, და ყველაფერს - დაწყებული ომით, თავისუფალი ვაჭრობით და სოციალურ დაცვით და დამთავრებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციით - მორალურ ვალენტობას ანიჭებს. ეს ტაქტიკა, ასევე, მემარჯვენეობას ღვთისნიერებასთან აკავშირებს და ღმერთის პოზიციას მონიშნავს დაუბადებელი ბავშვების მხარეს და ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ, როგორც ისლამურ სამყაროში თავისუფალი ბაზრის კაპიტალისტის, ამერიკელის და თავისუფლებისათვის მებრძოლის პოზიციას.

ინტერესში; ის ასევე დამოუკიდებელია რესპუბლიკის მოქალაქის ცნებისგან, რომელიც მონაწილეობს თვითკანონმდებლობის საჯარო პრაქტიკაში.²⁸

სანაცვლოდ დემოკრატია გაიგივებულია ფორმალური უფლებების, განსაკუთრებით, კერძო საკუთრების უფლებების არსებობასთან, ბაზართან და ხმის მიცემასთან. ხალხში მისი პრაქტიკა, იქნება ეს პოლიტიკური წარმომადგენლების, სოციალური პოლიტიკის თუ პოლიტიკური პარტიების არჩევა, ფაქტობრივად დაყვანილია ინდივიდუალურ სამომხმარებლო საქონელზე, რომელიც სხვა სამომხმარებლო საქონლისგან ოდნავ თუ განსხვავდება ტიპით ან მნიშვნელობით. „ნეოლიბერალიზმი ასევე შეიცავს გათვლას, რომ სამოქალაქო უფლებების სახმარი ღირებულება პირადი ავტონომიის სიამოვნებაში მოიხმარება. „...ის არ ამატებს პოლიტიკურ ავტონომიას, როგორც თავისუფლების კიდევ ერთ განზომილებას“.²⁹ ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ ნეოლიბერალიზმი „ემიჯნება ინტუიციას, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები თავისუფლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მაშინ, თუ მათ შეუძლიათ თავი მიიჩნიონ ...კანონის ავტორებად და ადრესატებად ერთდროულად“, არამედ იმასაც, რომ სამოქალაქო თავისუფლებები იოლად გადაიდება გვერდით ეროვნული მორალური პროექტის ხათრით, ან როცა კი ვინმე იტყვის, რომ პირად ავტონომიას უსაფრთხოების პრობლემები ემუქრება.³⁰

სოციალური პრობლემების დეპოლიტიზება

ნეოლიბერალიზმი ნებისმიერ სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემას ბაზრის ტერმინებში აკონვერტირებს, რითაც მათ გადაახურდავებს ინდივიდუალურ პრობლემებად, რომელთაც საბაზრო, მომხმარებლური გადაწყვეტები აქვს. აშშ-ში ამის მილიონი მაგალითია: ბოთლებში ჩამოსხმულ წყალზე გადასვლა, როგორც პასუხი ონკანით მოწოდებული წყლის დაბინძურებაზე; კერძო სკოლები, ჩარტერული სკოლები და ვაუჩერული სისტემები, როგორც პასუხი ხარისხიანი საჯარო განათლების სისტემის კოლაფსზე; ქურდობის საწინააღმდეგო სისტემები, დაცვის კერძო სამსახური, შემოდობილი დასახლებები (და ერები), როგორც პასუხი „ჩარეცხილი“ კლასის წარმოებასა და გაძლიერებულ ეკონომიკურ უთანასწორობაზე; სამედიცინო მომსახურების „ბუტიკები“, როგორც პასუხი ჯანდაცვის საჯარო უზრუნველყოფის დეგრადაციაზე; „V-ჩიპები“, როგორც პასუხი ოჯახში არსებული ყველა ტიპის ეკრანიდან ძალადობრივი და პორნოგრაფიული მასალის მოზღვავებაზე; ეროვნომიკული ხელსაწყოები და ტექნოლოგიები, როგორც პასუხი ინფორმაციული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ შრომის პირობებზე; და, რასაკვირველია, ფაქიზად დიფერენცირებული და ზუსტად დოზირებული ფარმაცევტული ანტიდეპრესანტები, როგორც პასუხი სიმდიდრესა და თავისუფლებაში ცხოვრების უსაზრისობასა თუ სასოწარკვეთაზე. სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად წარმოქმნილი პრობლემების სამომხმარებლო საქონლად ასე გარდაქმნა იწვევს იმის დეპოლიტიზებას, რაც ისტორიულადაა წარმოშობილი, და, განსაკუთრებით, იწვევს თვითონ კაპიტალიზმის დეპოლიტიზებას. მეტიც, პოლიტიკური პრობლემების და მათი გადაწყვეტების საჯაროდან კერძოში გადატანით ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალობა კიდევ უფრო გააუხშობს პოლიტიკურ თუ საჯარო ცხოვრებას: სოციალურში ნავიგაციის პრობლემა მთლიანად იქცევა სოციალურად წარმოქმნილი ყველა პრობლემიდან პირადი გამოსავლის პოვნის, მისთვის სახსრების მოძიებისა და მისი შეძენის პრობლემად. ეს არის უპრეცედენტო დონის დეპოლიტიზება: მასზეა მორგებული ეკონომიკა, მის მიხედვითაა ორგანიზებული მოქალაქეობა, მის მიერაა დომინირებული მედია და ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური რაციონალობა ამართლებს და იღებს მას.

²⁸ Habermas, *The Postnational Constellation*, 94.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

ამრიგად, „პრივატიზაციისადმი“ ნეოლიბერალიზმის ერთგულებას, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ, აქვს შედეგები, რომლებიც ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე, ერთი მხრივ, პოლიციის, ციხეების, სოციალური დაცვის, სამხედრო ძალისა და სკოლების „აუთსორსინგი“ (კერძო სექტორისთვის გადაბარება) და, მეორე მხრივ, საჯარო წამოწყებებისა და ინსტიტუტების კორპორაციების მიერ გამოსყიდვა. პრივატიზება, როგორც ღირებულება და პრაქტიკა, ღრმად მსჭვალავს კულტურას და მოქალაქე-სუბიექტს. თუ რამე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, ვეძებთ პროდუქტს, რომელიც მას გადაგვიჭრის; მართლაც, ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ გადაჭრების ძიებას, გაზიარებას, შეძენას და გაუმჯობესებას ეთმობა. ამავე დროს, ნებისმიერ „საჯარო“ უნივერსიტეტში ხანმოკლე ვიზიტი ან ერთი საათით „საჯარო“ რადიოს მოსმენა აშკარას ხდის, რომ იშლება მკაფიო საზღვრები კორპორაციულ და საჯარო სფეროებს შორის, მხოლოდ აქა-იქ ინტერესთა კონფლიქტის ტიპის დარღვევები რჩება, რომლებთან ბრძოლაც შედარებით ლეგალისტურ დონეზე, პოსტფაქტუმ ხდება.

მართული მოქალაქე

ნეოლიბერალიზმი მოქალაქეს მეწარმისა და მომხმარებლის მოდელზე აწარმოებს და, ამავე დროს, მოქალაქეებს მისაწვდომს ხდის შეუზღუდავი მართვისა და მძიმე ადმინისტრაციული ავტორიტეტისთვის. უკვე ვნახეთ, რომ თვითონ ნეოლიბერალები ენთუზიზმით იწონებენ გარკვეული სახის მოქალაქეებისა და ქვევის საბაზრო წახალისებებისა და შემაკავებლების მეშვეობით წარმოებას. მაგრამ, მართვის აშკარა მიზნების გვერდით, კრიტიკულ თეორიაში არსებობს ბაზისური მიხვედრა, რომ არჩევანის სუბიექტი და მართვის სუბიექტი სულაც არ არიან დაპირისპირებულები; მართლაც, ერთ მხარეს ინდივიდუალური რაციონალური ქმედება და მეორე მხარეს - სახელმწიფო ან რელიგიური ავტორიტეტი, თუმცა ისინი სხვადასხვა სემიოტიკურ რეგისტრში ოპერირებენ, სავსებით თავსებადია ერთმანეთთან. ფრანკფურტის სკოლის ინტელექტუალები, მათზე ადრე კი პლატონი, ავითარებდნენ ინდივიდუალურ არჩევანსა და პოლიტიკურ დომინაციას შორის აშკარა შეთავსებადობის თეორიას და ხატავდნენ დემოკრატიულ სუბიექტებს, რომლებიც პოლიტიკური ტირანიის, ან ავტორიტარიზმისთვის მისაწვდომები არიან ზუსტად *იმიტომ*, რომ ჩაფლულები არიან არჩევანისა და საჭიროებების დაკმაყოფილების სამფლობელოში, რომელსაც ისინი შეცდომით თავისუფლებად მიიჩნევენ.³¹ სხვა კუთხიდან, ფუკომ განავითარა თეორია სუბიექტისა, რომელსაც მოეთხოვება, თავისი ცხოვრება თავად შექმნას, და იმავე დროს, ამ შექმნაში მძიმედაა რეგულირებული - სწორედ ესაა, რასაც ბიომალაუფლება და დისციპლინა ერთობლივად ასრულებს და რასაც ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა აღწევს.

სტიტიზმი

რადგან ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს სამეწარმეო და მენეჯერულ ფუნქციებთან გააიგივებს და სახელმწიფოს ფირმის მოდელზე გარდაქმნის, ის ხელს უწყობს და ლეგიტიმაციას აძლევს სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების ისეთ მიტაცებას, რომელიც მიუღებელი იქნებოდა დემოკრატიული კულტურისთვის ან ღირებულებათა დემოკრატიულ მატრიცაში. ის დემოკრატიული პროცედურალიზმისა და ანგარიშვალდებულების შეზღუდვებს ჩაანაცვლებს კარგი მმართველობის ნორმებით: ესენია ეფექტურობა და მომგებიანობა. ის ლეგალურობას, ანგარიშვალდებულებას და სიმართლეს გვერდზე გადადებს ამ კრიტერიუმების სასარგებლოდ. ამიტომ, მაგალითად, შეკითხვაზე, იყო თუ არა ერაყში შეჭრის საბაზი დასაბუთებული და

³¹ T. W. Adorno, Else Frenkel-Brunswik, and Daniel J. Levinson, *The Authoritarian Personality* (New York: Harper, 1950); Herbert Marcuse, *One-Dimensional Man* (Boston: Beacon, 1964); Max Horkheimer and T. W. Adorno, *Dialectic of Enlightenment* (New York: Herder and Herder, 1972), Erich Fromm, *Escape from Freedom* (New York: Henry Holt, 1941); and Plato, *The Republic*, იხილეთ განსაკუთრებით დემოკრატიის კრიტიკა.

ლეგიტიმური, ბუში მონოტონურად პასუხობდა: „ხომ მოვიშორეთ სადამი?“, „უკეთესი გახდა თუ არა სამყარო?“

რელიგიის დანამატი

თუკი ნეოლიბერალიზმის ეს ოთხი მადედემოკრატიზებული ეფექტი - მის მიერ პოლიტიკური ავტონომიის გაუფასურება, სოციალური პრობლემების დეპოლიტიზება, ყოველდღიურ ცხოვრებაში მართვის დიდი ზომით დაშვება და ლეგიტიმური სტეიტისმი - ნიადაგს ამზადებს ნეოკონსერვატორული მმართველობის ავტორიტარული ნიშნებისთვის, ამ ნიადაგის მნიშვნელოვანი გამანაყოფიერებელია რელიგიური დისკურსის პოლიტიკური მობილიზაცია. ეს მობილიზაცია ერთდროულად ძერწავს მორჩილ, თვინიერ მოქალაქეს და ორგანიზებას უკეთებს 9/11-ის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელ შეურაცხყოფილ და თავდაცვით ნაციონალურ პატრიოტიზმს.³² გაუგებრობა რომ გამოვრიცხო, მე არ ვამტკიცებ, რომ ღმერთზე ლაპარაკი, რომლითაც ბუში თავისი ამომრჩევლების მნიშვნელოვან ნაწილს ალაგზნებს, ნეოკონსერვატიზმის საერთო გეგმის, პლატფორმის ან ხედვის ნაწილია. არც მათ დავეთანხმებოდი, ვინც ამტკიცებს, რომ ნეოკონსერვატიზმი დაჟინებით მილენარისტულია ან განუყრელადაა გადაჯაჭვული „გარღვევის ქრისტიანებთან“ – მეტისმეტად ბევრი სეკულარისტი და ებრაელია ნეოკონსერვატიზმის რიგებში იმისათვის, ასეთი მტკიცებები სიცოცხლისუნარიანი რომ ყოფილიყო. ჩემი არგუმენტი ის უფროა, რომ რელიგიურად გამოხმობილი ხალხი და სულ უფრო გადღაბნილი ხაზი რელიგიურ და პოლიტიკურ კულტურას, თეოლოგიურ და პოლიტიკურ დისკურსს შორის, აიოლებს ნეოკონსერვატიზმისა და ნეოლიბერალიზმის მადედემოკრატიზებული ძალების მიღებას.

ის, რაც დღეს ხშირად იდენტიფიცირდება თეოლოგიურის გვიანმოდერნულ ამოხეთქვად პოლიტიკურში, სხვა წერილის საგანია. მაგრამ ჩვენ უკვე შევავლეთ თვალი მის ერთ ასპექტს ნეოკონსერვატორული სტეიტისმის ამკარად მორალური თვისების სახით. კარლ შმიტი, რომელიც ფრანგ იურისტს, მორის ჰარიუს ეყრდნობა, ამ თვისებას მოწონებით გაიაზრებს თავის ნაკლებად ცნობილ წიგნში, „იურისტული აზრის სამი ტიპი“.³³ აქ სახელმწიფო გამოყვანილია ადამიანთა ერთობისთვის არა მხოლოდ წესრიგისა და ერთიანობის, არამედ, „წარმმართველი იდეის“ უზრუნველყოფად. მართლაც, სწორედ ეს წარმმართველი იდეა, და არა მხოლოდ შიშველი ძალაა ის, რაც შმიტის გაგებით ეროვნული სახელმწიფოს წესრიგსა და ერთიანობას ქმნის. აღმასრულებელი ძალაუფლება სახელმწიფოს არსებობას მხოლოდ იმდენად შეესაბამება, რამდენადაც ის სახელმწიფოს ერთიანობას წარმოადგენს ამ იდეის მეშვეობით და ეს ერთიანობა, თავის მხრივ, აფუძნებს სახელმწიფოს ავტორიტეტს. სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ძალაუფლების ასეთი გაგება, რომელიც მეტად დაშორებული ვერ იქნებოდა კლასიკური ლიბერალური გაგებისგან, ამასთან, მეტისმეტად კათოლიკურია, რათა ჰობსიანური იყოს, და „წარმმართველი იდეის“ მეტისმეტად შემთხვევით გაგებას იღებს, რათა ჰეგელიანური იყოს, იმდენადვე კრიტიკული მნიშვნელობისა ჩანს პოლიტიკის ნეოკონსერვატორული მოდელის გასაგებად, რამდენადაც შმიტის უფრო ხშირად ციტირებული დისიზიონიზმი და მეგობარი-მტერი დაპირისპირება.³⁴ ნეოკონსერვატორული მართვა სახელმწიფოს ავტორიტეტის მოდელს

³² იხილეთ ელისაბეთ ანკერის ჯერ დაუსრულებელი დისერტაცია: Elisabeth Anker, “The Venomous Eye: Melodrama in the Making of National Identity and State Power,” Department of Political Science, University of California, Berkeley.

³³ Carl Schmitt, *On the Three Types of Juristic Thought*, ed. G. Schwaab, trans. J. Bendersky (Westport, Conn.: Greenwood, 2004). იმას, რომ შმიტის ამ შრომას და სახელმწიფოს შმიტისეული თეორიის ამ ასპექტს ყურადღება მივაქციე, ვუმადლი დევიდ ბეთისის წერილს David Bates, “Political Theology and the Nazi State: Carl Schmitt’s Concept of the Institution,” *Modern Intellectual History* (forthcoming).

³⁴ ირვინ კრისტოლი წერს, რომ „მმართველებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეთ მეგობრების მტრებისგან გარჩევის უნარი“, ხოლო ბუში საგარეო პოლიტიკასთან თავის მიდგომას გამუდმებით იცავს

აგებს ეკლესიის ავტორიტეტზე, სახელმწიფოს თავისი ხალხის მწყემსად გაგებაზე და ერთიან სახელმწიფო ძალაუფლებაზე, ბალანსირებულისა და კონტროლირებულის ნაცვლად. ეს მოდელი მიმზიდველობას იძენს პოლიტიკურ კულტურაში, რომელიც ჩამოყალიბებულია გვიან მოდერნულ ხანაში რელიგიის საზღვრებიდან გადმოსვლით, რაც ეროვნული სახელმწიფოს სუვერენულობის დასუსტებას მოჰყვება შედეგად, სუვერენულობისა, რომელიც თავიდან ნაწილობრივ ზუსტად ეკონომიკური და რელიგიური ძალაუფლების შესაკავებლად და მოსათოკად იყო ჩაფიქრებული. სახელმწიფოს სუვერენულობის დასუსტებასთან ერთად, ეს ძალები ისევ ამოხეთქავენ საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.³⁵ ოდნავ სხვანაირად რომ ვთქვათ, რელიგიური და პოლიტიკური დისკურსის რამდენიმესაუკუნოვანი ფორმალური, თუმც კი ყოველთვის არასრული გამიჯვნის შემდეგ - რასაც სახელმწიფოს სუვერენულობით და სეკულარიზმისა და შემწყნარებლობის დოქტრინების მეშვეობით რელიგიის პრივატიზაციით მიაღწიეს, და ასევე უზრუნველყვეს დასავლეთში ქრისტიანობის იოლი ჰეგემონიით - შეკავების ეს სტრატეგიები ირყევა. ამის ერთი შედეგია ზოგადად რელიგიურ მტკიცებების დეპრივატიზება, ხოლო აშშ-ში პოლიტიკურ დისკურსსა და დებატებში ქრისტიანობის სულ უფრო აშკარა შერევა. ეს დამატებით სტიმულს აძლევს დედემოკრატიზაციის იმ ძალებს, რომელთაც ზემოთ განვიხილავდით, განსაკუთრებით, აშშ-ში თანამედროვე ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის ანტიდემოკრატიული თავისებურებების ფონზე.

ქრისტიანობის ამ შემობრუნების ზედმიწევნით ან სრულად განხილვის პრეტენზიის გარეშე, მინდა მხოლოდ გამოვკვეთო საჯარო დისკურსზე მისი გავლენების გამორჩეული, ჩვენი პრობლემისთვის მნიშვნელოვანი თავისებურებები. პირველი, რელიგიურ ჭეშმარიტებათა უმრავლესობა, განსაკუთრებით, ისინი, რომლებიც ახალი აღთქმიდან წარმოდგება, უმოწყალოდაა მიბმული ჭეშმარიტების დეკლარაციულ მოდალობაზე. „ღმერთმა თქვა „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი“ უთუოდ ერთ-ერთია პერფორმატიული მეტყველების ძალის ყველაზე ადრინდელი და ყველაზე დრამატული მაგალითებიდან - პირველი აღიარება, რომ სიტყვა შეიძლება იყოს საქმე და შექმნა, რომ წარმოთქმამ შეიძლება თავისი ჭეშმარიტება აახდინოს და, ამრიგად, პირდაპირი მნიშვნელობით შექმნას და გარდაქმნას სინამდვილე. დღეს ამ სახის ჭეშმარიტება თითქოს ავსებს ვაკუუმს რადიკალურად განჯადოებულ სამყაროში - სამყაროში, რომელსაც განსაკუთრებით აკლია საზრისიანი ჭეშმარიტებები და ჭეშმარიტების პრაქტიკების მიმართ ერთგულება, თვით ჭეშმარიტების შეფასების პრაქტიკების მიმართ ერთგულება. ეს ფენომენი ალბათ არ წარმოშობილა ნეოლიბერალიზმთან ერთად, მაგრამ უთუოდ დააჩქარა ამ უკანასკნელმა. დეკლარირება იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი, სწორი და კეთილი, ფაქტებზე მითითების ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, პოლიტიკური ჭეშმარიტების კარგად ცნობილ ნეოკონსერვატორულ მოდალობად იქცა - ის ახასიათებს ერაყში ომის ბუმისეულ ახსნებს, რომლებიც, როგორც წესი, უბრალოდ გამოცხადდება ხოლმე და ხავერდოვნად მიიღება ან წარმატებას მაინც აღწევს, როცა საპირისპირო უბრალოდ აშკარაა; ის ასევე ახასიათებს ქორწინების, როგორც „უხსოვარი დროიდან“ მახასიათებელთა უნიკალური ჯგუფის მქონის, ნეოკონსერვატორულ აღწერებს და აშკარად მდიდრებისათვის სასარგებლო საგადასახადო სქემების შესახებ მათ მტკიცებას, რომ ისინი მუშათა და საშუალო კლასებისთვის სასარგებლოა. დეკლარაციული და არა არგუმენტირებული ან დასაბუთებული ჭეშმარიტების რიტორიკულ ძალას საბჯენად აქვს ჭეშმარიტებისა და მორალური უტყუარობის ნეოკონსერვატორული დაცვა იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი თავს ესხმიან, როგორც მოწინააღმდეგეთა ეპისტემოლოგიურ და მორალურ რელატივიზმს. რადგან ნეოკონსერვატიზმი ამ ხერხით ჭეშმარიტებისგან, თანმიმდევრულობისგან და მორალური უტყუარობისგან

იმის მტკიცებით, თუ რა მნიშვნელოვანია გადამჭრელობა და ძლიერება და რა უადგილოა საჯარო დელიბერაცია. იხილეთ Kristol, "The Neoconservative Persuasion".

³⁵ ამ არგუმენტის უფრო სრულად გაშლილი ვერსიისთვის, იხილეთ Wendy Brown, "The Return of the Repressed: Sovereignty, Capital, Theology" in *The New Pluralism: William Connolly and the Contemporary Global Condition*, ed. David Campbell and Morton Schoolman (Durham, N.C.: Duke University Press, forthcoming in 2007).

მორალურ-პოლიტიკურ ფეტიშებს ქმნის, დეკლარაციულ ჭეშმარიტებებს მეტი მიმზიდველობა აქვთ, ვიდრე მათ სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა. მეტიც, ჭეშმარიტების ეს მოდალობა არტიკულირდება ჭეშმარიტების კიდევ ერთ პოპულარულ ნეოკონსერვატორულ მოდალობასთან - „ჭეშმარიტებასთან ჯიგრიდან“, რომელიც მოქცევისა და ევანგელიზმის პიროვნული მომენტის შესატყვისია.³⁶ აქ ჭეშმარიტება წარმოდგება შინაგანი დარწმუნებულობიდან ან უტყუარობიდან, რომელსაც ფაქტებისა და არგუმენტების ვერავითარი რაოდენობა ვერ დაუპირისპირდება. მართალია, პირველ მოდალობაში ჭეშმარიტება თეოლოგიური სუვერენულობიდან წარმოდგება, ხოლო მეორეში - სულის მსგავსი ადგილიდან, მაგრამ ორივე ფორმისთვის საერთოა არა მხოლოდ ღმერთის ხმა, არამედ, ასევე, შეკითხვის დასმის, დელიბერაციისა და ფაქტების მიმართ გულგრილობა და შეუღწევადობა. როცა ასეთი გულგრილობა და მტრული განწყობაც კი პოლიტიკურ ნორმად იქცევა, დრამატულად უფასურდება როგორც ინტელექტუალური პაექრობა, ისე პოლიტიკური ანგარიშვალდებულება, ხშირად იმ წერტილამდე, რომ ისინი მოლაღატეობად და გამცემლობად ცხადდება.

დეკლარაციული და გამოცხადების ჭეშმარიტებები მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც ფუნდამენტალისტური ქრისტიანობა დახმარების ხელს უწყდის ნეოკონსერვატორულ პოლიტიკურ წესრიგს. ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი ასევე სათნოებად აცხადებს ამ ჭეშმარიტებისა და მისი მოღალადე და გამოყენებელი ძალაუფლების მიმართ *მორჩილებას*. ის ანტიდემოკრატიული და ანტიინტელექტუალურია იმდენად, რამდენადაც აუფასურებს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ, დელიბერაციულ ავტონომიას და თვით დელიბერაციასაც. ჭეშმარიტების-და-ავტორიტეტის-მორჩილების ეს დამოკიდებულება დამატებით შევსებულია *ვასალობის* ვალორიზებით, რომელიც სუბიექტს ღმერთთან და რელიგიურ თემთან აკავშირებს: რელიგიური მიკუთვნებულობის ბაზისი რწმენის, მორჩილებისა და ვასალობის ამ კომბინაციაშია. ისევე, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ჭეშმარიტების მიმართ მორჩილებისა და ვასალობის ეს კომბინაცია ზუსტად შეადგენს პატრიოტიზმის იმ თავისებური ფორმის სტრუქტურას, რომელსაც ნეოკონსერვატორები ავრცელებენ.

ახლა ამას დავამატოთ უთანასწორობა. რა ეგალიტარიზმიც არ უნდა გამოიყვანებოდეს ზოგიერთი ქრისტიანული ტრადიციიდან, თანამედროვე ქრისტიანულ ფუნდამენტალიზმში ღმერთისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობა და ეკლესიური იერარქიის ფენომენი თავისთავად აძლევს ლეგიტიმაციას უთანასწორობას, როგორც ბუნებრივს, კეთილს და მარადიულს. ანუ, თუნდაც ჩვენ ყველა თანასწორი ვიყოთ ღმერთის წინაშე, ქრისტიანულ ფუნდამენტალიზმში არსებობს არა მხოლოდ ავტორიტეტი, არამედ, ლეგიტიმური იერარქიაც. როცა ეს მგრძნობელობა საჯარო კულტურის ნარჩენებში შეადგენს, როცა მწყემსის მოდელი პოლიტიკურ მოდელად იქცევა, უთანასწორობა - არა მხოლოდ ავტორიტეტის მიმართ მორჩილება, არამედ, ლეგიტიმური სტრატეგიკაცია და სუბორდინაციაც - პოლიტიკურ ნორმად ყალიბდება, ნაცვლად პოლიტიკური გამოწვევისა.

დეკლარირებული ჭეშმარიტების მიმართ მორჩილების, ლეგიტიმური უთანასწორობისა და ვასალობის ეს კომბინაცია, რომელიც რელიგიურიდან პოლიტიკურ რაციონალობაში გადაედინება, პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობის პირობებს გარდაქმნის; ის ქმნის

³⁶ ვრცელი მსჯელობა ბუშის მიერ ფაქტების, თუნდაც მისი უახლოესი მრჩევლების მიერ წარდგენილი ფაქტების უგულვებლყოფაზე „ჯიგრიდან“ ან „ინსტინქტიდან“ მიღებული ჭეშმარიტებების სასარგებლოდ და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ფაქტების საწინააღმდეგო შეხედულებებს ეფუძნება და რომლებიც მან „მათზე ლოცვის“ შემდეგ მიიღო, იხილეთ სტატიაში Ron Suskind, “Faith, Certainty, and the Presidency of George W. Bush,” *New York Times Magazine*, October 17, 2004, <http://www.nytimes.com/2004/10/17/magazine/17Bush.html?ex=1>. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს უგულვებლყოფა სიცოცხლისუნარიანი არ იქნებოდა, მას ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ არ იზიარებდეს. იხილეთ Timothy Egan, “All Polls Aside, Utah Is Keeping Faith in Bush”, *New York Times*, June 4, 2006, p. 1.

სუბიექტებს, რომელთა მორჩილება და ლოიალობა კონსტიტუციურია სახელმწიფო ძალაუფლების იმ თეოლოგიური კონფიგურაციისთვის, იურიდიული აზრის შესახებ შმიტის შრომაში რომ არის მოხაზული. ეს რელიგიური ელემენტები აღმასრულებელი ძალაუფლების ძლიერ და უწყვეტ გამოყენებას ისეთი ინგრედიენტებით ამარაგებს, რომელთაც სეკულარული დემოკრატიული პრინციპებიდან ვერ მიიღებდა. როცა ქრისტიანული რელიგიური კულტურა პოლიტიკურ კულტურაში შექონავს და როცა აღმასრულებელი ძალაუფლება რელიგიური მიზნებით იმოსება (როგორცაა ჰეტეროსექსუალურ ინსტიტუტად „ქორწინების შენარჩუნების“, ან „დაუბადებელი სიცოცხლის“ გადარჩენის, ან „არათავისუფალი სამყაროს გათავისუფლების“ მისია), აღმასრულებელი ძალაუფლება ისეთ პრეროგატივას და ლეგიტიმაციას იძენს, როგორც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომი არ არის ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის. მართლაც, გვიანმოდერნულ, თეოლოგიურად ორიენტირებულ სახელმწიფოს, რომელიც რელიგიურად ჩამოყალიბებულ საჯარო კულტურას ემყარება, შეუძლია ძალაუფლებისა და ლეგიტიმაციის ისეთი წყაროებით ისარგებლოს, რომლებიც რელიგიისა და სახელმწიფოს მკაცრი გამიჯვრებით და რელიგიური და პოლიტიკური რაციონალობების მკაცრი განსხვავებით შეზღუდულია. ავტორიტეტის რელიგიური მოდალობით გამოწვეული დედემოკრატიზაციის მაგალითია თანამედროვე ამერიკული პატრიოტიზმის ერთი პატარა ხატი: ყველგან გავრცელებული ყვითელკანტიანი მაგნიტები, ხშირად ჯიპებს და მინივენებს უკნიდან რომ აქვთ მიმაგრებული, წარწერით: „მხარი დავუჭიროთ ჩვენს ჯარებს“.³⁷ თავიანთი უცნაურად ანონიმური მიმართვით და ავტორიტეტის არხებით, ესენი, განსხვავებით ბამპერის სხვა სტიკერებისგან, რომლებზეც პოზიციაა გამოხატული ან შეკითხვაა დასმული, მოწოდების ფორმას იძენენ და, ამასთან, ფარულ საყვედურსაც შეიცავენ, ალბათ ეჭვობენ, რომ მკითხველი ჯარებს მხარს არ უჭერს და უთუოდ კიცხავენ მათ, ვინც მხარს არ უჭერს. იმდენად, რამდენადაც თვითონ მოწოდება უშინაარსოა და ღვთისმოდში შეხსენების ძველმოდური სიმბოლოთი გამოითქმება, ისინი ასევე გადმოსცემენ აბსოლუტური მორალური ურყევობის პოზიციას: ძნელი გასაგებია, რაში მდგომარეობს ასეთი მხარდაჭერა, გარდა ჯარების არ-არმხარდაჭერისა, ან შეიძლება იმ ომის არ-არმხარდაჭერისა, რომელშიც ეს ჯარები იბრძვიან, ან იმ პრეზიდენტის არ-არმხარდაჭერისა, რომელმაც ეს ჯარები საომრად გაუშვა. და როგორ უნდა გავიგოთ ასეთი მოწოდებისა და საყვედურის გამოკვრა ასეთ პროზაულ ადგილზე - როგორც წესი, დიდი ზომის მანქანების უკანა მხარეს, რომელთაც თავიანთ მგზავრები ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა პუნქტში გადაჰყავთ: სამსახურში, სკოლაში, ბავშვის ფეხბურთის ვარჯიშზე, მოლში?

მაგრამ ამ მესიჯის უშინაარსობა, მასში ნაგულისხმევ საყვედურთან ერთად, მისი სენტიმენტალური და დეპოლიტიზებული ფორმულირება, მისი პროზაული ადგილმდებარეობა ავტორიტეტის მიმართ აბსოლუტური და არადელიბერაციული მორჩილების სიცარიელის სრულყოფილი ემბლემაა. უშინაარსობაა შინაარსი: ეს სიცარიელე ქმედების ან მონაწილეობის ზუსტად იმ ნაკლებობას გამოხატავს, რომელიც თანამედროვე მოქალაქეობას ახასიათებს - დემოკრატიული მონაწილეობის ჩანაცვლება ჩვეულებრივი საოჯახო და მომხმარებლური ცხოვრებით. ხოლო მოწოდება, უარი ვთქვათ დელიბერაციაზე იმის შესახებ, თუ როგორ და რად უნდა დავინახოთ ომი და ჯარები, შეესაბამება აბსოლუტურ - პატრიოტულსაც კი - უარის თქმას ფიქრზე და იმის სურვილზე, რომ სხვებმა იფიქრონ, განსხვავებულად ფიქრზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეტიც, ეს მოწოდება - „შენც უნდა დაემორჩილო“, რელიგიური და ანტიდემოკრატიული, ყველაზე ღრმა აზრით არის იმაზე მინიშნება, რომ რაღაც შმიტისეული თეოლოგიური სახელმწიფოს მსგავსი მართლაც შეიძლება ხდებოდეს ჩვენს თავს.

³⁷ ამ ხელნაწერის ანონიმურმა მკითხველმა ხაზი გაუსვა იმის მნიშვნელობას, რომ ეს მესიჯი მანქანებზე არა წებოთი, არამედ მაგნიტებითაა მიმაგრებული. მან შენიშნა, რომ ნეოლიბერალური კულტურის სქემაში „ჩვენი უნიფორმიანი ბიჭების (და გოგონების) მხარდაჭერა ერთი ამბავია; ხოლო მანქანის წებოვანი ნივთიერებით დალაქავება - სულ სხვა.“

თუ სწორედ ამის წინაშე დგანან ამერიკელები დღეს, ეს მხოლოდ იმიტომ არ ხდება, რომ ახლანდელი პრეზიდენტი სახელმწიფოს მიზნებს ღმერთის მიზნებს უკავშირებს, არამედ იმიტომაც, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გამოყენება მოთხოვნილ და დაკოდილ მოქალაქეობას ემყარება, რომელშიც რელიგიური და ნეოლიბერალური დისკურსების კომბინაციამ ლიბერალური დემოკრატიული დისკურსები ჩაანაცვლა. სახელმწიფო ძალაუფლების ეს ნაკადი სათავისოდ მოიხმარს და ესეხება ავტორიტეტის რელიგიურ სტრუქტურას, სათავისოდ იყენებს დემოკრატიის მიმართ რელიგიურ ანტიპატიას და, სხვა რამეებს შორის, ამას აკეთებს იმპერიული წამოწყებისთვის, რომელიც, ცივილიზაციური დისკურსის გამოყენებით, სახელმწიფოს დასავლეთთან და ქრისტიანობასთან აიგივებს იმის წინააღმდეგ, რაც წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფოს არმქონე ფუნდამენტალისტი ბარბაროსები. ამ გზით შესაძლებელია ევანგელისტური ქრისტიანობის პოპულიზმის მობილიზება სახელმწიფოს ავტორიტეტისა და ძალაუფლებისთვის, რითაც ის მემარჯვენე პოლიტიკურ პოპულიზმად გარდაიქმნება. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული კულტურის დასუსტება, რაც უკვე მიღწეულია ნეოლიბერალური რაციონალიზმით. ნეოკონსერვატიზმის ავტორიტარიზმი ამ ნიადაგში იდგამს ფესვებს... სავსებით შესაძლოა, უფრო დიდი ხარისხითაც, ვიდრე ნეოკონსერვატორებს ენდომებოდათ. მე არ ვფიქრობ, რომ ნეოკონსერვატორები ფაშისტები არიან, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ფაშიზმის ენა ბოლომდე შესაფერისია ჩვენი ახლანდელი პრობლემების გაგებისა და დიაგნოზირებისთვის.³⁸ მაგრამ ნეოკონსერვატიზმისთვის ღირებულია ძალაუფლება და სტეიტისმი, და როცა ეს ენერჯიები მორალიზმს და საბაზრო ეთოსს ერწყმის, და როცა საჯარო ამ ენერჯიებისა და რაციონალიზმების კომბინაციით ჩამოიქნება, შედეგად მიიღება გააფთრებით ანტიდემოკრატიული პოლიტიკური კულტურა. ეს არის კულტურა, რომელიც არ არის მიდრეკილი სტეიტისმი ან კორპორაციული ძალაუფლების შეზღუდვისკენ და, უწინარეს ყოვლისა, კულტურა, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობით სძულს კონსტიტუციური დემოკრატიის კლასიკური პრინციპები და მოთხოვნები, მეტიც, თავს ესხმის მათ.

ეს თავდასხმა იმ დროს ხდება, როცა გლობალიზებული საბაზრო ძალები და ნეოლიბერალური პოლიტიკური რაციონალიზმი ლიბერალურ დემოკრატიულ კონსტიტუციონალიზმს უკვე ემუქრებიან სანაგვეზე მოსროლით. ასე, როცა ამ პრინციპებს თავს ესხმიან ერთი მხრიდან, ხოლო ინსტიტუტებს ძირს უთხრიან მეორე მხრიდან, ამ მომენტში მემარცხენეობა - საკუთარი დამოუკიდებელი ხედვის გარეშე - ხშირად აღმოჩნდება უცნაურ მდგომარეობაში, რომელშიც ის ოდნავ მეტია, ვიდრე დაცემის გზაზე შემდგარი ლიბერალური დემოკრატიის ადვოკატი. შინაარსობრივი მემარცხენე ხედვის არარსებობის პირობებში, რაც გარდაუვლად შობს რეაქციის

³⁸ საკმაოდ ბევრი ამტკიცებდა, რომ ახლანდელი კონიუნქტურა ფაშიზმის ენით აღიწერება. სხვა მხრივ მწვავე და ინფორმაციულ ესეში ამერიკული საგარეო პოლიტიკის გლობალური იმპერიული ჩანაფიქრის შესახებ, ფალკი მის ფაშისტურ განზომილებებს ამტკიცებს იმის გამოკვლევის გარეშე, რეალურად რა შეადგენს ფაშიზმს ან რა რეზონანსის მქონეა ეს ტერმინი. იხილეთ: Richard Falk, "Will the Empire Be Fascist?" http://www.transnational.org/forum/meet/2003/Falk_FascistEmpire.html. 2005 წლის აგვისტოში, ამერიკის პოლიტიკის მეცნიერების ასოციაციის წლიურ შეხვედრაზე, ვაშინგტონში, მთელი პანელი მიემდგვნა საკითხს, „უკვე დროა, რომ ამას ფაშიზმი ვუწოდოთ?“. ასევე იხილეთ Sheldon Wolin, "Inverted Totalitarianism", *The Nation*, May 19, 2003, <http://www.thenation.com/doc/20030519/wolin>; და Sheldon Wolin, "A Kind of Fascism Is Replacing Our Democracy", <http://www.commondreams.org/views03/0718-07.htm>. მართალია, მე სიმპათიით ვუყურებ ამ ანალიზების შინაარსს, მაგრამ ძველი სახელის (განსაკუთრებით, სახელის, რომელიც ზენაჯერია კონკრეტული ისტორიითა და მნიშვნელობით) ძალაუფლების ახალი კონფიგურაციისთვის გამოყენება იმით მაწუხებს, რომ, პირველი, ასე შეიძლება ამ კონფიგურაციის ახალი ასპექტები სათანადოდ ვერ ჩავიჭიროთ და გავანალიზოთ, და, მეორეც, *მმართველობის* ფაშისტურ განზომილებებზე კონცენტრაცია ჩრდილავს დედემოკრატიზაციის იმ უსახური სოციალური და კულტურული ძალების მნიშვნელობას, რომლებიც ამ წერილში გამოკვვეთე. მოკლედ, ეს ნომენკლატურა შეიცავს საფრთხეს, რომ ყურადღების ცენტრში ისევ აღმოჩნდება მჩაგვრელი „ისინი“, და არა - სუბიექტური „ჩვენ“.

პოლიტიკას, ნეოკონსერვატორული მორალური აგენდა და სამოქალაქო უფლებების მიმართ სიძულვილი ბევრ ლიბერალს და მემარცხენეს თითქოს ან კონკურენტული მორალიზმისკენ უბიძგებს, ან კიდევ - სამოქალაქო ლიბერტიანიზმითა და ცარიელი სეკულარიზმით საჯაროსა და სოციალურში ყველა მორალური მტკიცების უკუგდებისკენ.³⁹ ანალოგიურად, საჯარო დახმარებების და სერვისების ნეოლიბერალური დემონტაჟი ხშირად ლიბერალებს და მემარცხენეებს ანაქრონისტული კეთილდღეობის სტეიტისკენ უბიძგებს. რაგინდ გასაგები, ეს პასუხები ძალაუფლების თანამედროვე კონფიგურაციებს არასწორი საწყაულით ზომავს და მათ გვერდით რჩებათ ის, რაც რადიკალი დემოკრატებისა და სოციალური ეგალიტარიანებისთვის დღეს შეიძლება ყველაზე კრიტიკული შეკითხვა იყოს - შეკითხვა, რომელიც არ არის კვაზიშეკითხვა იმაზე, თუ უკეთესად როგორ დავიცვათ სამოქალაქო თავისუფლებები, სეკულარიზმი, ან კეთილდღეობის სტეიტისმი, არამედ არის შეკითხვა იმაზე, დადგა თუ არა დემოკრატიული ოცნების - დემოსის დემოსისთვის მართვის - აღსასრული. როგორ შეიძლება დღეს კოლექტიური ცხოვრების ამგები და მორგანიზებელი უჩვეულო ძალების დემოკრატიზება? ვართ კი მართლა დემოკრატები - ისევ გვჯერა ან გვინდა კი სახალხო ძალაუფლება? გვჯერა კი, რომ დემოსი შეიძლება ან უნდა მართავდეს თავის თავს, რაც შეიძლება მეტად მონაწილეობდეს იმ სხვადასხვა (პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ) ძალაში, რომლებიც მას ახლა მართავენ? თუ არ გვჯერა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ამ რწმენის შერყევას მემარცხენე პროექტისათვის? ხოლო თუ ისევ გვჯერა, მაშინ როგორ უნდა შეეჭიდოს ამ ძალებს ძალაუფლების დემოკრატიზების განახლებული მცდელობები და როგორ უნდა დამლიონ მათ თანამედროვე ანტიდემოკრატიის სატყუარები?

³⁹ როცა შინაარსობრივი მემარცხენე ხედვის არარსებობაზე ვლაპარაკობ, არ უფლებელვყოფ ისეთ მცდელობებს, როგორცაა მსოფლიო სოციალური ფორუმი, ცოცხალი დემოკრატიის მოძრაობა, გლობალიზაციის საერთაშორისო ფორუმი და ბევრი სხვა მრავალეროვნული და ხშირად ტრანსნაციონალური ორგანიზაცია, პროტესტი და სემინარი, რომლებიც ანტიგლობალიზაციის ან „სხვა სამყარო შესაძლებელია“ ნიშნით განხორციელდა გასულ ათწლეულში. ესენი მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ (ჯერ) ვერ შეადგენს ვერც დემოკრატიული მართვის ხედვას და ვერც არსებული ძალების დემოკრატიზების სტრატეგიას. როგორც ესოდენ ბევრმა რადიკალურმა მოძრაობამ, პარტიამ და ლიდერმა ისწავლა წლების მანძილზე, საკმაოდ მნიშვნელოვანია განსხვავება პროტესტსა და ძალაუფლების ხელში აღების სტრატეგიებს, მით უმეტეს, მართვას, შორის.